სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

ID ბარათის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა

2013

სარჩევი

M. კვლევის მეთოდოლოგია 4

M1. რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა 4

M2. თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა 8

კვლევის ძირითადი შედეგები 10

„რეზისტენტულთა“ ჯგუფი 10

„კომპრომისულთა“ ჯგუფი 13

„მფლობელთა“ ჯგუფი 15

თავი 1. სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების წილი საქართველოს მოსახლეობაში (G) 18

G.1. საქართველოს მოსახლეობის ჯგუფებად სეგრეგირება ID ბარათის ფლობის და დამოკიდებულების მიხედვით 18

თავი 2:. „რეზისტენტულთა“ ჯგუფის გამოკითხვის შედეგები (R) 21

R1. „რეზისტენტულების“ სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი 21

R2. ID ბარათის შესახებ ინფორმირებულობა 21

R4. ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ID ბარათის არაღების გადაწყეტილებას და ასეთი გადაწყვეტილების შეცვლის შესაძლებლობა 35

თავი 3:. „კომპრომისულთა“ ჯგუფის გამოკითხვის შედეგები (C) 38

C1. ID ბარათის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება 38

C2. ID ბარათის სხვადასხვა მახასიათებლების და თვისებების მიმართ დამოკიდებულება. 40

C3. განწყობები ID ბარათის მიმართ 44

C4. მოსაზრებები ID ბარათზე დატანილ ინფორმაციასთან დაკავშირებით/ინფორმაცია, რომელიც სასურველია განთავსდეს ID ბარათზე 48

C5. ID ბარათის შესახებ ინფორმრებულობის დონე/ინფორმაციის წყარო/ინფორმაციის მიმართ დამოკიდებულება 50

C6. განწყობები იუსტიციის სამინისტროს მიერ ID ბარათის შესახებ მომზადებული ინფორმაციის მიმართ/სანდოობა/ ID ბარათის აღების პერსპექტივა 54

თავი 4:. „მფლობელთა“ ჯგუფის გამოკითხვის შედეგები (H) 56

H1. ელექტრონული პირადობის მოწმობის ობიექტური მახასიათებლების შეფასება 61

H2. ელექტრონული პირადობის მოწმობის შესახებ არსებული სხვადასხვა მოსაზრებებისადმი დამოკიდებულება.....65

H3. ელექტრონული პირადობის მოწმობის შესახებ ინფორმირებულობის დონე და საინფორმაციო წყაროებისადმი დამოკიდებულება 67

M. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანია** ID ბარათის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებების/განწყობების კვლევა.

კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- ID ბარათის მიმართ არსებული პოზიტიური და ნეგატიური დამოკიდებულებების იდენტიფიცირება;
- არსებული დამოკიდებულებების გამომწვევი მიზეზების კვლევა;
- ID ბარათის აღების მოტივატორების და დემოტივატორების იდენტიფიცირება;
- ID ბარათთან დაკავშირებული პრეფერენციების კვლევა;
- ID ბარათის იმიჯის ფორმირებაზე გავლენის მქონე სეგმენტის იდენტიფიცირება (საზოგადოებრივი აზრის ლიდერების იდენტიფიცირება)
- ID ბარათის საკომუნიკაციო აქტივობებისთის ეფექტური ფორმალური და არაფორმალური საკომუნიკაციო არხების განსაზღვრა.

კვლევა მოიცავს **რაოდენობრივ და თვისებრივ** კომპონენტებს.

M1. რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

კვლევის გენერალური ერთობლიობა: საქართველოს მოსახლეობა (16 წლის და მეტი)
გამოკვლევის ტიპი: ეროვნული შერჩევის რაოდენობრივი კვლევა
კვლევის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუ
კვლევის ინსტრუმენტი: კითხვარი
შერჩევის მოცულობა: 2010 რესპონდენტი

შერჩევის მთელი მოცულობა, თავის მხრივ, გადანაწილდა ორ კატეგორიაზე:

1. 1-ლი კატეგორია: მოქალაქეები, ვინც, ამ ეტაპზე, ფლობს ID ბარათს (სულ 323 რესპონდენტი);
2. მე-2 კატეგორია: მოქალქეები, ვინც, ამ ეტაპზე, არ ფლობს ID ბარათს (სულ 1687 რესპონდენტი).

თავის მხრივ, შერჩევის მეორე კატეგორია (მოქალაქეები, ვინც, ამ ეტაპზე, არ ფლობს ID ბარათს) გადანაწილდა 2 ქვეკატეგორიად:

1. მოქალაქეები, ვინც არ ფლობს ID ბარათს, მაგრამ არ გამორიცხავს მის აღებას (1210 რესპონდენტი);
2. მოქალაქეები, ვინც არ ფლობს ID ბარათს და კატეგორიულად ეწინააღმდეგება მის აღებას (477 რესპონდენტი)

შერჩევის ეს მოცულობები თითოეული კატეგორიისთვის/ქვეკატეგორიისთვის აღებულია იმ გაანგარიშებით, რომ გამოკითხვის შედეგები იყოს რეპრეზენტატული თითოეული ჯგუფისათის (იხ. ცხრილი #1):

ცხრილი #1

რესპონდენტთა ქვეკატეგორიები		**შერჩევის მოცულობა**	**ცდომილების მნიშვნელობა (სანდოობის ხარისხი 95%)**
1	მოქალაქეები, ვინც, ამ ეტაპზე, ფლობს ID ბარათს	323	5.3%
2.1	მოქალაქეები, ვინც არ ფლობს ID ბარათს, მაგრამ არ გამორიცხავს მის აღებას	1210	2.8
2.2	მოქალაქეები, ვინც არ ფლობს ID ბარათს და კატეგორიულად ეწინააღმდეგება მის აღებას	477	4.5%
	რესპონდენტთა ჯამური მოცულობა	***2010***	***2.2%***

შერჩევის ბაზა: საქართველოს ამომრჩეველთა სიები 2012 წლისათვის.

შერჩევის დიზაინი: მრავალსაფეხურიანი სტრატიფიცირებული (კლასტერული) შერჩევა. შერჩევის ამ მოდელის მთავარი იდეაა კვლევაში გეოგრაფიული და დემოგრაფიული მახასიათებლების რეპრეზენტატულობა. აღნიშნული კვლევისათვის შერჩევის მოცულობები დასახელებული კატეგორიებისათვის განაწილდა თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონს შორის ისეთი პროპორციით, რომელიც უზრუნველყოფს შერჩევის ცდომილების მეტ-ნაკლებად თანაბარ მნიშვნელობებს.

შერჩევა რეგიონებში ყველა დასახელებული კატეგორიისათვის/ქვეკატეგორიისათვის შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. ცხრილი №2):

ცხრილი №2: სხვადასხვა ჯგუფების განაწილება რეგიონების მიხედვით

	არ გამორიცხავს ID ბარათის აღებას	კატეგორიულად ეწინააღმდეგება ID ბარათის აღებას	სულ ID ბარათის არმქონენი	ID ბარათის მფლობელებიი	სულ ჩატარებული ინტერვიუ
თბილისი	304	119	423	116	539
აჭარა	113	18	131	44	175
გურა	57	43	100	8	108
იმერეთი	114	54	168	42	210
კახეთი	90	37	127	29	156
მცხეთა-მთიანეთი	92	19	111	6	117
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	47	53	100	2	102
სამეგრელო ზემო სვანეთი	115	44	159	24	183
სამცხეჯავახეთი	88	10	98	12	110
ქვემო ქართლი	131	27	158	25	183
შიდა ქართლი	59	53	112	15	127
სულ	**1210**	**477**	**1687**	**323**	**2010**

შერჩევის ფორმირების პირველ ეტაპზე რეგიონული შერჩევის ერთობლიობა დაიყო სტრატებად (ტერიტორიულ და დემოგრაფიულ ერთეულებად). ცალკეული სტრატისათვის გამოყოფილი კვოტები გადანაწილდა 16 წლის და ზემოთ ასაკის მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად.

თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში განისაზღვრა შერჩევის წერტილთა რაოდენობა იმ გაანგარიშებით, რომ ყოველ შერჩევის წერტილში ჩატარდებოდა საშუალოდ 9-11 ინტერვიუ.

პირველადი შერჩევის წერტილი იყო სააღწერო უბანი. შერჩევის წერტილებში ოჯახის შერჩევა განხორციელდა ე.წ. "შემთხვევითი ხეტიალის" მეთოდით. ოჯახებს შორის ინტერვალი (ბიჯი) განსხვავებულად განისაზღვრა თბილისისათვის (ყოველი მე-9 ოჯახი), დანარჩენი ურბანული ცენტრებისათვის (ყოველი მე-7 ოჯახი) და სოფლებისათვის (ყოველი მე-5 ოჯახი). ინტერვიუერებს მიეწოდათ შერჩევის გეოგრაფიული წერტილები და გადაადგილების სივრცითი არეალი (ქუჩების მიხედვით), რაც გამორიცხავდა ერთსა და იმავე წერტილში განმეორებითი ვიზიტებს.

კვლევის საწყის ეტაპზე შედგა შერჩევის დეტალური სქემა, რომელიც მოიცავდა მოქალაქეთა სამივე კატეგორიის განაწილებას რეგიონების, რაიონების, ქალაქებისა და სოფლების მიხედვით. შედგა კვოტები პირველადი შერჩევის წერტილებისათვის,

მითითებული იქნა რა რაოდენობის ID ბარათის მფლობელი და არამფლობელი (ვინც არ გამორიცხავს ID ბარათის აღებას და ვინც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ID ბარათის აღებას) უნდა იქნეს გამოკითხული. საველე სამუშაობის მსვლელობისას ოჯახში რესპონდენტები შეირჩა კიშის ცხრილის გამოყენებით, ისე, რომ დაცული იყო ზემოაღნიშნული კვოტები. შერჩევის მსგავსი დიზაინი უზრუნველყოფს შერჩევის შემთხვევითობის მაქსიმალურ დაცვას და, საბოლოო ჯამში, მოქალაქეთა სამიზნე კატეგორიებზე რეპრეზენტატული მონაცემების მიღებას.

ნებისმიერი კატეგორიის/ქვეკატეგორიის რესპონდენტის მოძიება, როგორც ითქვა, მოხდა ოჯახებში, ხოლო ოჯახები, თავის მხრივ, შეირჩა ე.წ. „შემთხვევითი ხეტიალის“ მეთოდით. ID ბარათის მფლობელი, ისევე როგორც ID ბარათის აღების მოწინააღმდეგე რესპონდენტების მოძიება ოჯახებში გრძელდებოდა ამ მეთოდის გამოყენებით მანამ, სანამ არ შეივსებოდა ამ ჯგუფების შერჩევის მოცემული წერტილისთვის განსაზღვრული რაოდენობა (კვოტა). ერთადერთი გამონაკლისი დაშვებულ იქნა ID ბარათის აღების კატეგორიულად მოწინააღმდეგე რესპონდენტების მოძიებისას: თუ შერჩევის წერტილში, „შემთხვევითმა ხეტიალმა“ არ გამოავლინა ამ ქვეკატეგორიის რესპონდენტი, მისი მოძენნა ხორციელდებოდა მიზნობრივად.

კითხვარი: შერჩევის მოდელის დიზაინის პარალელურად შეიქმნა კვლევის ინსტრუმენტი – კითხვარი. ამისათვის, კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად, მოხდა კვლევის ძირითადი საკითხების გამოყოფა, ოპერაციონალიზაცია და გაზომვად ინდიკატორებამდე დაყვანა. ობიექტური ინფორმაციის მიღების მიზნით, კითხვარში ჩადებულ იქნა სხვადასხვა ტიპის კითხვები: ფორმალიზებული, ნახევრად ფორმალიზებული და ღია. ასევე, ალტერნატიული და შეფასებითი კითხვები.

მონაცემების დამუშავება და ანალიზი: თავდაპირველად მოხდა საველე სამუშაოების შედეგად შევსებული კითხვარების კოდირება და ფორმალიზაცია. შემდეგ განხორციელდა მონაცემების კომპიუტერში შეტანა. ფაილის “გაწმენდის” შემდეგ, მონაცემები დამუშავდა SPSS კომპიუტერული პროგრამის ფარგლებში. დამუშავებისა და ანალიზისას გამოყენებული იქნა უნივარიაციაული, ბივარიაციული და მულტივარიაციული ანალიზის ისეთი მეთოდები, როგორიცაა სიხშირული (ერთგანზომილებიანი) განაწილება, ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები, კორელაციური ანალიზი, რეგრესია და სხვ.

M2. თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

თვისებრივი კვლევა განხორციელდა **ფოკუს-ჯგუფის** (ჯგუფური დისკუსიის) მეთოდის გამოყენებით.

ფოკუს ჯგუფების მიზანი: ID ბარათის მიმართ განწყობების თვისებრივი კვლევის მიზანი ორია: 1) ჯგუფური დისკუსიების შედეგად გამოვლენილი ინფორმაციის საფუძველზე მოხდეს საკვლევი პრობლემის ინდიკატორების გამოვლენა, რომელთა საფუძველზეც მოხდება რაოდენობრივი კვლევის კითხვარის დიზაინი; 2) რაოდენობრივი კვლევის შედეგების ექსპერტულ დონეზე სიღრმისეული შეფასება და მონაცემთა ინტერპრეტაცია.

ინსტრუმენტი: ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი (გაიდლაინი).

ჩატარდა 10 ჯგუფური დისკუსია შემდეგი შემადგენლობით:

- **სხვადასხვა რელიგიისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები**: საპატრიარქოს წარმომადგენელი, სასულიერო პირები სხვადასხვა რელიგიიდან: მართმადიდებლური ეკლესია, კათოლიკური ეკლესია, მუსლიმური სათვისტომო, სომხური სამოციქულო ეკლესია, იეზდური დიასპორა, სხვადასხვა სექტა;
- **ექსპერტები:** იუსტიციის სამინისტრო, იუსტიციის სახლი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლები და სხვ.
- **თბილისი:** სულ ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ID ბარათის მფლობელები – 1 ფოკუს ჯგუფი; ის მოქალაქეები, რომლებიც არ გამორიცხავენ ID ბარათის აღებას – 1 ფოკუს ჯგუფი; ის მოქალაქეები, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ID ბარათის აღებას – 1 ფოკუს ჯგუფი;
- **ბათუმი:** სულ ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფი. თვისებრივი თავსებადობის მიხედვით ერთ ფოკუს ჯგუფში ჩაერთნენ ID ბარათის მფლობელები და ის მოქალაქეები, რომლებიც არ გამორიცხავენ ID ბარათის აღებას. მეორე ჯგუფურ დისკუსიაზე მოვიწვიეთ ის მოქალაქეები, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ID ბარათის აღებას; ბათუმის ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა რეკრუტირებისას გათვალისწინებულ იქნა მათი რელიგიური აღმსარებლობა.
- **მარნეული:** სულ ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფი. თვისებრივი თავსებადობის მიხედვით, ერთ ფოკუს ჯგუფში მოვიწვიეთ ID ბარათის მფლობელები და ის მოქალაქეები, რომლებიც არ გამორიცხავენ ID ბარათის აღებას; მეორე ჯგუფურ დისკუსიაზე დავპატჟეთ ის მოქალაქეები, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ID ბარათის აღებას. გარდა ამისა, ფოკუს ჯგუფებში მონაწილეთა რეკრუტირებისას გავითვალიწინეთ მათი ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობა;

- **ექსპერტთა ფოკუს ჯგუფი:** კვლევის საბოლოო ეტაპზე ჩატარდა ჯგუფური დისკუსია ექსპერტებს შორის. მოხდა რაოდენობრივი კვლევის შედეგების მათთვის გაცნობა, ექსპერტთა მხრიდან შემდგომი ინტერპრეტაციისათვის. ექსპრტები წარმოადგენდნენ შემდეგ სფეროებს: სახელმწიფო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მეცნიერები და სხვ.

კვლევის საწყის ეტაპზე შეიქმნა ფოკუს ჯგუფების სახელმძღვანელო (გაიდლაინი). სულ შეიქმნა 5 ტიპის სახელმძღვანელო, სხვადასხვა ტიპის ფოკუს ჯგუფებისათვის.

ჯგუფური დისკუსიების ხანგრძლივობამ შეადგინა საშუალოდ 1.5 საათი. ყველა ფოკუს ჯგუფის მსვლელობა ჩაიწერა ვიდეო ფირზე. პირველადი მასალის დეტალური გაშიფვრის (ტრანსკრიპტის შედგენის) საფუძველზე: ა) მომზადდა კვლევის ინსტრუმენტი -კითხვარი; ბ) დისკუსიის მონაცემები გამოვიყენეთ ანალიტიკური ანგარიშის მომზადების პროცესში.

კვლევის ძირითადი შედეგები

საქართველოს 16 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობა შემდეგნაირად ნაწილდება ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით:

I ჯგუფი: ფლობს ID ბარათს (ე.წ. „მფლობელები“) - 18%;
II ჯგუფი: არ ფლობს, მაგრამ არ გამორიცხავს ID ბარათის აღებას (ე.წ. „კომპრომისულები“) - 66%;
III ჯგუფი: არ ფლობს, მაგრამ გამორიცხავს ID ბარათის აღებას (ე.წ. „რეზისტენტულები“) - 16 %.

„რეზისტენტულთა“ ჯგუფი

„რეზისტენტულთა“ ჯგუფში არც ერთი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებელი არ ახდენს გამორჩეულ ზეგავლენას ID ბარათის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებაზე. ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა სოციალური და დემოგრაფიული პროფილის რესპონდენტები, მათი აზრით, საკმარის საფუძველს ნახულობენ ელექტრონული პირადობის მოწმობის უარსაყოფად.
„რეზისტენტულთა“ ჯგუფში ID ბარათის შესახებ ინფორმაციის მწვავე ნაკლებობაა:

- ყოველი მეორე ამ ჯგუფიდან თვლის, რომ ID ბარათზე, მოქალაქის სურვილის გაუთვალიწინებლად, ასახულია დამატებითი ინფორმაცია პიროვნების შესახებ (სახელის, გვარის, დაბადების ადგილის, თარიღის, პირადობის ნომრის და მისამართის გარდა);
- ”რეზისტენტულთა” დაახლოებით ამდენივე ნაწილი კიდევ უფრო შორს მიდის და ფიქრობს, რომ ID ბარათი ატარებს ე.წ. ”მხეცის” ნიშანს.

„რეზისტენტულთა“ გამოკვეთილ უმრავლესობას (სულ მცირე, 65%-ს) არ მიუღია სრულყოფილი ობიექტური ინფორმაცია ID ბარათის შესახებ (კერძოდ, ის ინფორმაცია, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს).

თუმცა, გამოკითხვა აჩვენებს, რომ სწორი ინფორმაციის მიწოდება არ არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ რესპონდენტებმა შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება/ქცევა ID ბარათის შესახებ. იმის მიუხედავად, რესპონდენტებს აქვთ თუ არა ობიექტური ინფორმაცია ID ბარათის ამა თუ იმ ასპექტის შესახებ, ისინი ძირითადად უნდობლობას უცხადებენ ამ ინფორმაციას. მეტიც: ინფორმირებულობის ხარისხი გავლენას არ ახდენს, აგრეთვე, ID ბარათის აღების პერსპექტივაზე. რესპონდენტთა სკეპტიციზმი ამ მიმართულებით აშკარაა.

ტელევიზია სახელდება ID ბარათის შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ. გარდა ამისა, მნიშვნელოვან წყაროებად ფორმალური ინსტიტუტებიდან სახლდება ეკლესია, ხოლო არაფორმალურიდან - ნაცნობ-მეგობრები. იუსტიციის სახლს/იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციის წყაროდ მხოლოდ 3.6% პროცენტი ასახელებს.

ყველაზე სასურველ ინფორმანტად ID ბარათის შესახებ დასახელებულია რელიგიური ინსტიტუტები (საპატრიარქო, ეკლესია და სხვ.). იუსტიციის სამინისტროს/იუსტიციის მინისტრს სასურველ ინფორმანტად ასახელებს ამ ჯგუფის მესამედი. სხვა სასურველი ინფორმანტების (დამოუკიდებელი ექსპერტები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვ.) ხვედრითი წილი მცირეა.

„რეზისტენტულთა“ ჯგუფის მზაობა ინფორმაციის მიღებაზე დაბალია: უმრავლესობას (საშუალოდ 55%-ს) არა აქვს ინფორმაციის მიღების სურვილი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ID ბარათის: ა) ტექნიკური მახასიათებლები; ბ) უსაფრთხოება; გ) შესაძლებლობები და უპირატესობები; დ) სხვა ქვეყნებში გამოყენება. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ჯგუფის საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა (38-43%) აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციის მიღების მზაობას ამჟღავნებს.

„რეზისტენტულთა“ გამოკვეთილ უმრავლესობას (64%) უპირობოდ ნეგატიური დამოკიდებულება აქვს ID ბარათის მიმართ. ეს ის ნაწილია, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირს კომპრომისზე წასვლა და რაიმე დამატებითი ფაქტორის გამო საკუთარი გადაწყვეტილების შეცვლა. მეორე მხრივ, ამ ჯგუფის დაახლოებით 35% ან ა) ნეიტრალურ (გულგრილ) დამოკიდებულებას ამჟღავნებს ID ბარათის მიმართ, ან ბ) „არბილებს“ თავის უარყოფითი დამოკიდებულებას. სწორედ, ეს ნაწილი უნდა ჩაითვალოს ყველაზე ნაკლებად ხისტად პოზიციის შეცვლის თვალსაზრისით.

ID ბარათის **ობიექტურ მახასიათებლებს** შორის"რეზისტენტულთა" ჯგუფს ყველაზე ნაკლებად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ID ბარათის ზომისა და ფორმის მიმართ, ხოლო ყველაზე მიუღებელი აღმოჩნდა **ID ბარათის ელექტრონული მეხსიერება (ე.წ. "ჩიპი") და ელექტრონულ მეხსიერების შესაძლებლობებთან დაკავშირებული მრავალფუნქციურობა და ID ბარათის ელექტრონული ხელმოწერის არსებობა.**

„რეზისტენტულთა“ ჯგუფში არ ეთანხმებიან ელექტრონული პირადობის მოწმობის დახასიათებას პრაქტიკულად არც ერთი დადებითი ეპითეტით. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ხვდება ID ბარათის დახასიათებას ისეთი თვისებებით, როგორიცაა ეროვნულობა, სანდოობა, სიიაფე, პრესტიჟულობა და გაყალბებისგან დაცულობა.

„რეზისტენტულთა“ ყველაზე დიდი ნაწილი (38%) თვლის, რომ ID ბარათი სახელმწიფომ უფასოდ უნდა დაურიგოს მოქალაქეებს. მესამედი მიიჩნევს, რომ ID ბარათი უნდა

გაიაფდეს. ამ რესპონდენტებისთვის ყველაზე სასურველი ფასის საშუალო მაჩვენებელი 11 ლარამდეა.

რესპონდენტები ასახელებენ მხოლოდ ორ მონაცემს, რომელთა ასახვაც დამატებით (სახელის, გვარის, დაბადების ადგილის, თარიღის და პირადობის ნომრის გარდა) მიზანშეწონილი იქნებოდა ID ბარათზე; ესენია: **მისამართი და სისხლის ჯგუფი.** ”რეზისტენტულთა” გამოკვეთილი უმრავლესობა წინააღმდეგია ID ბარათზე აისახოს სხვა დამატებითი ინფორმაცია, როგორიცაა: თითის ანაბეჭდები, მართვის მოწმობა, მანქანის ტექნიკური პასპორტი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, დაზღვევის ბარათი, ქორწინების მოწმობა, სხვადასხვა მაღაზიის დაგროვების ბარათები, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სპეციფიკური მონაცემები, სტუდენტის ბილეთი, მეტრომანი, ბიოგრაფია/სივი და სხვ.

გამოკითხვამ აჩვენა „რეზისტენტულთა“ ჯგუფის ის დამოკიდებულებები, რომლებიც ელექტრონულ პირადობის მოწმობას **ექსკლუზიურად** მიეწერება:

- ელექტრონული პირადობის მოწმობა მიუღებელია რელიგიური თვალსაზრისით, რადგან მასში სატანის ნიშანია დატანილი. სხვა ელექტრონულ ბარათებს ასეთი „დატვირთვა“ არა აქვს;
- ელექტრონული პირადობის მოწმობის გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები ბევრ მოქალაქეს არა აქვს. შესაბამისად, მათი დანერგვა მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებას ვერ გააიოლებს;
- ელექტრონული პირადობის მოწმობა ხელს ვერ შეუშლის არჩევნების გაყალბებას, თუ ეს ძალაუფლების მქონე ჯგუფმა მოინდომა;
- ელექტრონული პირადობის მოწმობების შემოტანა ნაკლებად მნიშვნელოვანია ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის;
- ID ბარათი დაუცველია - ის შეიძლება „გატეხონ“ და გამოიყენონ მფლობელის ელექტრონული ხელმოწერა;
- ელექტრონული პირადობის მოწმობა მისი მფლობელის ფინანსური გადარიცხვების გაკონტროლების შესაძლებლობას იძლევა, იმის მიუხედავად, ასახულია თუ არა ეს გადარიცხვები ბარათზე მისი მფლობელის სურვილით.

ძირითადი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს „რეზისტენტულთა“ უარს ID ბარათის აღებაზე - **რელიგიურ მრწამსთან შეუთავსებლობაა**. თუმცა, აღნიშნული ფაქტორის გარდა, რესპონდენტებმა მაღალი მნიშვნელობის “ველში” მოაქციეს სოციალური ფაქტორებიც: ა) ID ბარათის სავალდებულოობა ლახავს ადამიანის თავისუფლებას; ბ) ID ბარათი სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა კონტროლის მექანიზმია და გ) ID ბარათზე დატანილი მონაცემების წვდომა და გამოყენება შეუძლიათ სხვა პირებს/ორგანიზაციებს.

„რეზისტენტულთა“ ჯგუფში **მინიმუმ 10%,** ხოლო **მაქსიმუმ 67%**-ია პროცენტი დადებითად პასუხობს მოლოდინს, რომ შეიცვლის აზრს და მიიღებს ელექტრონული პირადობის მოწმობის აღების გადაწყვეტილებას. აზრის (და გადაწყვეტილების) შეცვლისთვის ყველაზე ძლიერი მაპროვოცირებელი იქნება ის, თუ საპატრიარქო განაცხადებს, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობა ქრისტიანული მრწამსისთვის მისაღებია. ძლიერ მაპროვოცირებელ ფაქტორს წარმოადგენს, აგრეთვე, ახალი პირადობის მოწმობისთვის ელექტრონული მეხსიერების („ჩიპის“) მოშორება.

გადაწყვეტილების შეცვლის და ელექტრონული პირადობის მოწმობის აღების სუსტ პირობებად ჩაითვალა: ა) სახელმწიფოს მიერ ახალი პირადობის მოწმობის ალტერნატიული დოკუმენტის არდაშვება; ბ) ელექტრონული პირადობის მოწმობის უფასოდ დარიგება და გ) ელექტრონული პირადობის მოწმობის დამცავი მექანიზმების გაძლიერება.

„კომპრომისულთა“ ჯგუფი

მოქალაქეთა „კომპრომისული“ ჯგუფის ანალიზისას (რომლებიც არ ფლობენ ID ბარათს, თუმცა არ გამორიცხავენ მის აღებას), გამოიყო სამი ქვეჯგუფი: 1. „ID ბარათის პოტენციური მომხმარებლები“; 2. „ID ბარათის მიმართ ლოიალურად განწყობილნი“; 3. „ID ბარათის მიმართ სკეპტიკურად განწყობილნი“. სწორედ ეს უკანასკნელი ქვეჯგუფი შედეგება იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ძირითადად ნეგატიურად აფასებენ ID ბარათთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სიახლესა თუ მახასიათებლებს (და თავიანთი შეხედულებებით უახლოვდებიან ID ბარათის კატეგორიულ მოწინააღმდეგეებს, ე.წ. „რეზისტენტულებს“). ID ბარათის აღებასთან დაკავშირებული რელიგიური მოტივი აისახა კვლევაში მონაწილე რელიგიური (ეკლესიური) მოქალაქეების განწყობებზე: ამ შემთხვევაში დადასტურდა ჯგუფური დისკუსიების დროს გამოკვეთილი თვალსაზრისი – არამართლმადიდებელთათვის ID ბარათის აღებასთან დაკავშირებული რელიგიურად მოტივირებული შიში ნაკლებად მნიშვნელოვანია, მათ მიერ ID ბარათი პოზიტიურად ფასდება. თუმცა, წარმოდგენები ID ბარათის „მისტიკური ხასიათის“ შესახებ არ არის მართლმადიდებელთა მთელი ჯგუფისთვის დამახასიათებელი (ნაწილი ID ბარათის აღების მომხრეა, ხოლო ID ბარათის შეფასებისას კი – ნეიტრალურ პოზიციას იჭერს).

ID ბარათის მიმართ განწყობების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ID ბარათთან დაკავშირებულ ზოგიერთ „საფრთხეს“ მოცემულ ჯგუფში მყარი დასაყრდენი არ აქვს. ასეთია მაგ: მოსაზრებები, რომლებიც ეხება ID ბარათის მეშვეობით მოქალაქეთა კონტროლის მექნიზმებს. გაცილებით მტკიცე განწყობებს ავლენენ რესპონდენტები ე.წ. „სატანის ნიშანთან“ მიმართებაში.

ID ბარათის მახასიათებლების შეფასებისას ძირითადი პოზიტიური აქცენტი გაკეთდა ბარათის გარეგნულ მონაცემებზე, ხოლო ყველაზე ნეგატიური – ელექტრონულ მეხსიერებაზე („ჩიპი“), რომელიც „ID ბარათის მიმართ სკეპტიკურად განწყობილთა“ ქვეჯგუფში ყველაზე პრობლემური თემაა, სხვა ქვეჯგუფებისგან განსხვავებით. დაშორებულია ახალგაზრდებისა და უფროსი ასაკის მოქალაქეთა განწყობებიც: უფროსი ასაკის მოქალაქეები უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ე.წ. „ჩიპს“ (მათთვის უფრო მეტად მიუღებელია), ვიდრე - ახალგაზრდები.

ID ბარათის თვისებების შეფასებისას წინ წამოიწია ბარათის მოსახერხებლობამ და მრავალფუნქციურობამ, მათ შორის „სკეპტიკურად განწყობილთა“ ქვეჯგუფშიც. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ID ბარათი ახალგაზრდა თაობისთვის უფრო „ახლობელია“, რადგან ახალგაზრდა თაობა, პრესტიჟულობისა და პროგრესულობის გარდა, ID ბარათის ეროვნულობაზეც მიუთითებს. ID ბარათი ყველაზე ნაკლებად პრესტიჟული, ესთეტური, ეროვნული და სანდო ამ ჯგუფის ეკლესიურთა შორის აღმოჩნდა. რაც შეეხება ID ბარათის ფასს, იგი ერთნაირად მიუღებელია (ანუ, ძვირია) „კომპრომისულთა“ ჯგუფში წარმოდგენილი მოქალაქეებისთვის.

კვლევაში მონაწილე „კომპრომისული“ ჯგუფის წარმომადგენლები, ალტერნატივის სახით, ძველი პირადობის მოწმობის დაშვებას უჭერენ მხარს (თვით მათი დიდი ნაწილიც კი, ვინც უპირობოდ ამჯობინებს ID ბარათს ძველ პირადობის მოწმობას). შესაძლოა, მათი წარმოდგენით, ეს ერთგვარი გამოსავალია ID ბარათის მოწინააღმდეგეთა/ნეგატიურად განწყობილთა მარგინალიზაციის პრევენციისთვის.

რესპონდენტების ნაწილს აქვს განცდა, რომ მათი ნებართვის გარეშე შესაძლებელია მოხდეს ID ბარათზე გარკვეული დამატებითი ინფორმაციის დატანა (განსაკუთრებით ახალგაზრდებს). ამის მიუხედავად, მათი უმრავლესობა არ არის წინააღმდეგი ID ბარათზე მომავალში აისახოს სხვადასხვა ინფორმაცია (გარეგნული მონაცემები (თვალის ფერის გარდა), ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვადასხვა ხშირად გამოსაყენებელი საბუთები, ბარათები (მაღაზიის დაგროვების ბარათის გარდა) და ა.შ.). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ ჯგუფში სხვადასხვა „საფრთხის“ შეგრძნება არ არის ძლიერი ფაქტორი ID ბარათის უარსაყოფად – რესპონდენტებს შორის არსებობს მრავალფუნქციური ID ბარათის მიღების მზაობა. (თუმცა, მეორე მხრივ, „ID ბარათის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი“ რესპონდენტები, სხვა ქვეჯგუფებთან შედარებით, ნეგატიურად არიან განწყობილნი ID ბარათზე სხვადასხვა ინფორმაციის განთავსების მიმართ).

ID ბარათის შესახებ ინფორმირებულობის თვალსაზრისით რესპონდენტების თვითშეფასება დაბალია, ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო კი ტელევიზიაა (მეორე ადგილზეა ნაცნობ–მეგობრები). რესპონდენტები ყველაზე პოზიტიურად იუსტიციის

სამინისტროს/იუსტიციის სახლისგან მიღებულ ინფორმაციას აღიქვამენ (განსაკუთრებით 16–24 წლის ახალგაზრდები) და მიაჩნიათ, რომ აღნიშნული „ინფორმანტი“ ყველაზე მეტად სანდოა. იუსტიციის სამინისტროს პოზიტიურ მაჩვენებელს ანიჭებენ თვით ეკლესიური რესპონდენტები, ისეთ ინფორმანტთან ერთად, როგორიცაა რელიგიური ინსტიტუტები. (ეს უკანასკნელი, სხვებისაგან განსხვავებით, ყველაზე სანდო ინფორმანტი აღმოჩნდა „ID ბარათის მიმართ სკეპტიკურად განწყობილ“ რესპონდენტებში). ამას გარდა, გამოვლინდა, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ინფორმაციის მიწოდება რესპონდენტებისათვის დადებით გავლენას ახდენს აღნიშნული ინფორმაციის სანდოობაზე. რაც შეეხება ID ბარათის აღების პერსპექტივის გაზრდას, მისი მიღწევა შესაძლებელია ინფორმირებულობის გაზრდის გზით.

„მფლობელთა“ ჯგუფი

„მფლობელთა“ ჯგუფის წარმომადგენლებs, როგორც წესი, ელექტრონული პირადობის მოწმობა ობიექტური გარემოებების გამო აქვთ აღებული და არა - სუბიექტური მოტივაციის ან სურვილის. ელექტრონული პირადობის მოწმობის აღების ძირითადი მიზეზი პირადობის ძველი მოწმობის დაკარგვა, დაზიანება ან მოქმედების ვადის ამოწურვაა. მცირეა იმ ადამიანთა წილი (5.8%), რომლებმაც ID ბარათი მისი დამატებითი შესაძლებლობებით დაინტერესების გამო აიღეს.

“მფლობელთა” უმრავლესობა (54.3%), არჩევანის შემთხვევაში, ისევ ელექტრონულ მოწმობას აიღებდა. თუმცა, ამ სამიზნე ჯგუფისთვის მაინც მაღალია იმ ადამიანთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც უპირატესობას პირადობის დამადასტურებელ ძველ მოწმობას ანიჭებენ (39%). ელექტრონულ პირადობის მოწმობასა და ძველ მოწმობას შორის პრეფერენციებთან კავშირშია რესპონდენტთა ეკლესიურობა: ეკლესიური ადამიანები[1] პირადობის ძველ მოწმობას ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო არაეკლესიური[2] ადამიანები კი-ელექტრონული პირადობის მოწმობას.

”მფლობელებს” შორის ახალი პირადობის მოწმობის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ტენდენცია იკვეთება. თუმცა, ნეიტრალურად განწყობილთა პროცენტული მაჩვენებელი 30%-ს აღწევს. ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება, ისევე როგორც ელექტრონულ მოწმობასა და პირადობის ძველ მოწმობას შორის

1 ადამიანები, რომლებიც, სულ მცირე, თვეში რამდენჯერმე ესწრებიან ღვთისმსახურებას.

2 ადამიანები, რომლებიც უფრო იშვიათად, ვიდრე თვეში რამდენჯერმე ან არასდროს არ ესწრებიან ღვთისმსახურებას.

პრეფერენციები, კავშირშია რესპონდენტთა ასაკსა და ეკლესიურობასთან. ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ ახალგაზრდები ნეგატიურად არიან განწყობილნი, შუახნის ასაკის და ხანდაზმული ადამიანები კი - ლოიალურად. მეორე მხრივ, პირადობის ახალი მოწმობების მიმართ ეკლესიური ადამიანები ნეგატიურად არიან განწყობილნი, ხოლო არაეკლესიურები კი - პოზიტიურად.

იკვეთება, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ განწყობის ერთ-ერთი მაფორმირებელი ფაქტორი რელიგიაა, რაც დასტურდება ID ბარათის ობიექტური მახასიათებლების შეფასების საფუძველზეც. ყველა ობიექტური მახასიათებელი პოზიტიური შეფასების ველშია მოქცეული, გარდა ელექტრონული მეხსიერებისა (ე.წ. „ჩიპისა“) - ეს უკანასკნელი ნეიტრალური შეფასების ველში თავსდება (როგორც ცნობილია, რელიგიურ პრაქტიკაში ჩართულ ადამიანებს ყველაზე მეტად სწორედ ”ჩიპის” უარყოფითი მისტიკური დატვირთვა აშინებთ).

„მფლობელთა“ ჯგუფში ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ტენდენციაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ პოზიტიურ ”ველში” თავსდება ელექტრონული პირადობის მოწმობის „შეფასებითი” მახასიათებლები, როგორებიცაა: სანდოობა, გაყალბებისგან დაცულობა, მოსახერხებლობა, პრესტიჟლობა, ესთეტურობა და პროგრესულობა.

”მფლობელთა” ჯგუფს ნეგატიური დამოკიდებულება აქვს მოწმობის ამჟამინდელი ღირებულების (ფასის) მიმართ და მიიჩნევენ, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობა სახელმწიფომ უფასოდ უნდა გასცეს, ან ID ბარათის აღების საფასური საშუალოდ 13 ლარს უნდა შეადგენდეს.

ელექტრონული პირადობის მოწმობის შესახებ მისი მფლობელები არასაკმარისად არიან ინფორმირებულნი. არასაკმარის ინფორმირებულობაზე მიუთითებს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ID ბარათის მფლობელთა 23%-ის მოსაზრებით, მასზე „მხეცის ნიშანია“ დატანილი, ხოლო უმრავლესობას მიაჩნია, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის მეშვეობით შესაძლებელია პირის ადგილმდებარეობის დადგენა. ”მფლობელთა” ჯგუფს ინფორმაცია ძირითადად ტელევიზიისა და ნაცნობ-მეგობრებისგან აქვთ მიღებული. ამ ჯგუფის გამოკვეთილ უმრავლესობას სურს დამატებითი ინფორმაციის მიღება ბარათის ტექნიკური მახასიათებლების, უსაფრთხოების, მისი შესაძლებლობებისა და სხვა ქვეყნებში გამოყენების პრაქტიკების შესახებ.

„მფლობელთა“ ჯგუფისათვის, ელექტრონული პირადობის მოწმობის შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე სასურველი და სანდო ინსტიტუცია იუსტიციის სამინისტრო/

მინისტრია. ინფორმაციის მიღებისთვის სანდო ინსტიტუტად, სამინისტროს/მინისტრის გარდა, რელიგიური ინსტიტუციები (საპატრიაქო, ეკლესია და სხვ.) მიიჩნევა.

იკვეთება, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის ამა თუ იმ ნიშნის შესახებ ინფორმირებულობა ამ მახასიათებლისადმი ნდობას არ უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ პირადობის ახალი მოწმობის მფლობელთა უმრავლესობა არ არის სათანადოდ ინფორმირებული ელექტრონული მოწმობის სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ, მათ გამოკვეთილ უმრავლესობას ეჭვი არ შეაქვს ამა თუ იმ მახასიათებლის ნამდვილობაში. ანუ, მათთვის პირადობის ახალი მოწმობა ძირითადად სანდო დოკუმენტია. მეორე მხრივ, "მფლობელების" გარკვეულ ნაწილში ID ბარათის მიმართ ეჭვები არსებობს. მაგალითად, 32% პროცენტს მიაჩნია, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის საშუალებით შესაძლებელია სხვათა მიერ მფლობელის ფინანსური გადარიცხვების კონტროლი. პირადობის ახალი მოწმობის მიმართ არსებულ ბუნდოვანებას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ID ბარათის გაყალბების შეუძლებლობისა და მოქალაქეთა დაცულობის ერთ-ერთ გარანტად მისი მიჩნევის შეფასება „მფლობელთა“ 22-24%-ს უჭირს. როგორც ჩანს, ID ბარათის მფლობელებთან (ზოგადად, საზოგადოებასთან) საკომუნიკაციო სტრატეგიაში აქცენტები ახალი ბარათის დაცულობის შესახებ უნდა დაისვას.

თავი 1. სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების წილი საქართველოს მოსახლეობაში (G)

G.1. საქართველოს მოსახლეობის ჯგუფებად სეგრეგირება ID ბარათის ფლობის და დამოკიდებულების მიხედვით

ელექტრონული პირადობის მოწმობის (ID ბარათის) მიმართ საქართველოს მოსახლეობის მიმართება სხვადასხვა ასპექტში შეიძლება განვიხილოთ:

პირველი ასპექტი: მიუხედავად იმისა, აღებული აქვს თუ არა ელექტრონული პირადობის მოწმობა (ახალი ID ბარათი), როგორია საქართველოს 16 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის დამოკიდებულება ID ბარათის აღებასთან დაკავშირებით?

ამ თვალსაზრისით, საქართველოს მოსახლეობა 3 ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. სურს (ან სურდა) ID ბარათის აღება და აიღებს (ან უკვე აიღო);
2. არ სურს (ან არ სურდა) ID ბარათის აღება, მაგრამ აიღებს (ან უკვე აიღო) სხვადასხვა ფაქტორის გამო;
3. არც აუღია და არც სურს ID ბარათის აღება

გამოკითხვა საქართველოს მოსახლეობაში ამ ჯგუფებს შორის შემდეგნაირ განაწილებას აჩვენებს **(იხ. დიაგრამა #G1):**

დიაგრამა #G1



მეორე ასპექტი: როგორია საქართველოს 16 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის - ვისაც ელექტრონული პირადობის მოწმობა არ აუღია - დამოკიდებულება ID ბარათის აღებასთან დაკავშირებით?

ამ თვალსაზრისით, საქართველოს მოსახლეობა 3 ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. სურს ID ბარათის აღება და აპირებს, აიღოს;
2. არ სურს ID ბარათის აღება, მაგრამ აიღებს სხვადასხვა ფაქტორის გამო;
3. არც აუღია და არც სურს ID ბარათის აღება

გამოკითხვა საქართველოს მოსახლეობაში ამ ჯგუფებს შორის შემდეგნაირ განაწილებას აჩვენებს **(იხ. დიაგრამა #G2):**

დიაგრამა #G2



მესამე ასპექტი: საქართველოს 16 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის განაწილება იმის მიხედვით, ვინც:

ა) ფლობს ID ბარათს;
ბ) არ ფლობს, მაგრამ არ გამორიცხავს ID ბარათის აღებას;
გ) არ ფლობს, მაგრამ გამორიცხავს ID ბარათის აღებას

იხ. დიაგრამა #G3:

დიაგრამა #G3



- მათ, ვინც ფლობს ელექტრონული პირადობის მოწმობას ვუწოდოთ **„მფლობელები“**
- მათ, ვინც არ ფლობს, მაგრამ არ გამორიცხავს ID ბარათის აღებას, ვუწოდოთ **„კომპრომისულები“;**
- მათ, ვინც არ ფლობს, მაგრამ გამორიცხავს ID ბარათის აღებას, ვუწოდოთ **„რეზისტენტულები“**

ქვემოთ მოცემული ანალიტიკური ანგარიში დაწერილია სწორედ აღნიშნული 3 ჯგუფის („მფლობელები“, „კომპრომისულები“, „რეზისტენტულები“) მიხედვით.

თავი 2:. „რეზისტენტულთა“ ჯგუფის გამოკითხვის შედეგები (R)

როგორც უკვე ითქვა, იმ ჯგუფს, რომელიც წინააღმდეგია ახალი პირადობის დამადასტურებელი ბარათის (ID ბარათის) აღების, პირობითად ვუწოდოთ **„რეზისტენტულები“**. ანუ, ეს არის ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებიც იზიარებენ შემდეგ პოზიციას: ***„ID ბარათის აღება არ მსურს და არ ვაპირებ მის აღებას“.***

R1. „რეზისტენტულების“ სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი

გამოკითხვა აჩვენებს, რომ „რეზისტენტულთა“ ჯგუფში უმრავლესობას შეადგენენ:

- ქალები;
- ასაკით 45 წელს გადაცილებულები;
- უმაღლესი განათლების არმქონენი;
- ძირითადად 100-300 ლარის თვიური შემოსავლის მქონე ოჯახები, რომლებიც საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას აფასებენ როგორც „ძალიან დაბალს“ ან „დაბალს“;
- ეკლესიური ცხოვრებით გამორჩეული მართლმადიდებლები;
- უმუშევრები (პენსიონერები, დიასახლისების და შშმ პირების ჩათვლით)

თუმცა, სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ „რეზისტენტულთა“ ჯგუფში არც ერთი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებელი არ ახდენს გამორჩეულ ზეგავლენას ID ბარათის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებაზე. ანუ, ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა სოციალური და დემოგრაფიული ნიშნის მატარებელი რესპონდენტები, მათი აზრით, საკმარის საფუძველს ნახულობენ ელექტრონული პირადობის მოწმობის უარსაყოფად (მაგ., ეკლესიურებისათვის ეს საფუძველი რელიგიური მიუღებლობაა, არაეკლესიურებისათვის - სოციალური კონტროლის შიში და ა.შ.). ამ საკითხებზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით იქნება საუბარი.

R2. ID ბარათის შესახებ ინფორმირებულობა

„რეზისტენტულთა“ ჯგუფში ID ბარათის შესახებ ინფორმაციის მწვავე ნაკლებობაა: ზოგადად ინფორმირებულ რესპონდენტებს შორისაც კი[3] თითქმის ყოველი მეორეა ისეთი, რომელიც აღნიშნავს, რომ მწირი ინფორმაცია აქვს ID ბარათის შესახებ (იხ. დიაგრამა #):

[3] როგორც მეთოდოლოგიაში აღინიშნა, გამოკითხვას გამოეთიშნენ ის მოქალაქეები, რომლებმაც განაცხადეს, რომ არა აქვთ არანაირი ინფორმაცია/არც კი სმენიათ ID ბარათის შესახებ. ანუ, გამოკითხვა ჩატარდა იმ რესპონდენტებში, რომლებიც ინფორმაციის გარკვეულ ხარისხს ფლობენ.

დიაგრამა #R1



გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ID ბარათის შესახებ "რეზისტენტულთა" ჯგუფის ინფორმირებულობის თვითშეფასება ადეკვატურია:

1. რეზისტენტულთა ჯგუფში 72%-ს მცდარი ინფორმაცია აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ პიროვნების შესახებ რა ტიპის ინფორმაციას ინახავს ID ბარათი. კერძოდ:
   a. ყოველი მეორე რესპონდენტი ამ ჯგუფში ფიქრობს, რომ ID ბარათზე ატვირთულია პიროვნების შესახებ დამატებითი ინფორმაცია - მისი სახელის, გვარის, დაბადების ადგილის, თარიღის, პირადობის ნომრის და მისამართის გარდა. და, რაც მთავარია, მათი აზრით ეს ხდება მოქალაქის სურვილის გაუთვალისწინებლად;
   b. "რეზისტენტულთა" დაახლოებით ამდენივე ნაწილი კიდევ უფრო შორს მიდის და ფიქრობს, რომ ID ბარათი ატარებს ე.წ. "მხეცის" ნიშანს ***(იხ. დიაგრამა #R2):***

დიაგრამა #R2



მეორე მხრივ, ისიც ირკვევა, რომ რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილს არ მიუღია ობიექტური ინფორმაცია ID ბარათის შესახებ.

კერძოდ, 18%-იდან 33%-მდე მერყეობს იმ რესპონდენტების წილი, ვინც აცხადებს, რომ სრულად იყო ინფორმირებული ID ბარათის შესახებ (ლაპარაკია, იმ ინფორმაციაზე, რომელსაც ავრცელებს იუსტიციის სამინისტრო). კერძოდ, ეს ეხება ინფორმაციას შემდეგი მიმართულებით:

1. ID ბარათსა და ძველ პირადობის მოწმობას შორის არანაირი განსხვავება არ არის, თუ მას (ID ბარათს) არ გამოვიყენებთ ელექტრონულად
2. ID ბარათზე მოქალაქის შესახებ ინფორმაციის განთავსება ხდება იმავე მონაცემთა ბაზიდან, რომლიდანაც ძველ პირადობის მოწმობაზე
3. ID ბარათის ერთ-ერთი უპირატესობა არის ის, რომ გაცემისას დოკუმენტზე ხელის მოწერა ხორცილედება ელექტრონულად, რაც დოკუმენტს იცავს გაყალბებისგან
4. ID ბარათის მეშვეობით შესაძლებელია ინტერნეტით მომსახურების მიღება, რისთვისაც ადრე ადგილზე მისვლა იყო საჭირო
5. ID ბარათის „ჩიპს“ აქვს შეზღუდული მეხსიერება, რომელიც პიროვნების შესახებ მხოლოდ საბაზისო ინფორმაციას იტევს
6. მფლობელის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ID ბარათის გამოყენება დამატებითი მომსახურების მისაღებად

7. ID ბარათის შემოღებით შეუძლებელია ფინანსური თაღლითობა გაყალბებული მოწმობით განხორციელდეს
8. ID ბარათის შემოღებით შეუძლებელი ხდება საარჩევნო მაქინაციების განხორციელება
9. თითოეული მოქალაქის შესახებ ID ბარათზე არსებული მონაცემები იქნება ზუსტი და ვერ მოხდება პიროვნების ვინაობის გაყალბება
10. ID ბარათის შემოღება შესაბამისობაშია საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებთან

გამოკითხვის მონაცემები იხ. *დიაგრამაზე #R3:*

დიაგრამა #R3:



შენიშვნა: საშუალო მჩვენებლები დათვლილია 3 ბალიან სკალაზე (მინუს 1-დან პლიუს 1-მდე), სადაც მინუს 1 აღნიშნავს „საერთოდ არ მქონდა ინფორმაცია“, ხოლო პლიუს 1 - „მქონდა სრული ინფორმაცია“. სკალის ნეიტრალური წერტილია 0.

აქ პასუხი უნდა გაეცეს ერთ შეკითხვას: **ის, რომ რესპონდენტები ID ბარათში, მაგალითად, „მხეცის ნიშანს“ ხედავენ, ეს მათ არაინფორმირებულობაზე უფრო მიუთითებს თუ იდეოლოგიურ (რელიგიურად განპირობებულ) პოზიციაზე? ანუ, არის თუ არა მათთვის სწორი (ობიექტური) ინფორმაციის მიწოდება ID ბარათის შესახებ საკმარისი, რომ შეიცვალონ დამოკიდებულება/ქცევა ID ბარათის მიმართ?**

გამოკითხვა აჩვენებს, რომ სწორი ინფორმაციის მიწოდება არ არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ რესპონდენტებმა შეცვალონ თავიანთი წარმოდგენები ID ბარათის შესახებ. კერძოდ, სტატისტიკური ანალიზის თანახმად, ID ბარათის შესახებ რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონე არ ახდენს გავლენას ამ ინფორმაციის მიმართ რესპონდენტთა ნდობაზე: იმის მიუხედავად, რესპონდენტებს აქვთ თუ არა ინფორმაცია ID ბარათის ამა თუ იმ ასპექტის შესახებ, ისინი ძირითადად უნდობლობას უცხადებენ ამ ინფორმაციას. მეტიც: ინფორმირებულობის ხარისხი გავლენას არ ახდენს, აგრეთვე, ID ბარათის აღების პერსპექტივაზე. რესპონდენტთა სკეპტიციზმი ამ მიმართულებით აშკარაა.

დიაგრამები ##R4-R7 ასახავს:

ა) რესპონდენტებსათვის მიწოდებულ ინფორმაციის მიმართ ნდობას;
ბ) ელექტრონული პირადობის მოწმობის აღების პერსპექტივას, მიწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარე;
გ) კორელაციის არარსებობას ID ბარათის შესახებ რესპონდენტთა ინფორმირებულობასა და ამ ინფორმაციის მიმართ ნდობას შორის;
დ) კორელაციის არარსებობას ID ბარათის შესახებ რესპონდენტთა ინფორმირებულობასა და ID ბარათის აღების პერსპექტივას შორის;

დიაგრამა #R4



დიაგრამა #R5



დიაგრამა #R6



დიაგრამა #R7



საინფორმაციო წყაროები ID ბარათის შესახებ და ინფორმაციის მიღების სურვილი

ტელევიზია სახელდება ID ბარათის შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ (78%) „რეზისტენტულთა“ ჯგუფში. გარდა ამისა, მნიშვნელოვან წყაროებად ფორმალური ინსტიტუტებიდან სახლდება ეკლესია, ხოლო არაფორმალურიდან - ნაცნობ-მეგობრები. საგულისხმოა, რომ იუსტიციის სახლს/იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციის წყაროდ მხოლოდ 3.6% პროცენტი ასახელებს (იხ. დიაგრამა #R8):

დიაგრამა #R8



მეორე მხრივ, „რეზისტენტულთა“ ჯგუფში ყველაზე სასურველ ინფორმანტად ID ბარათის შესახებ დასახელებულია რელიგიური ინსტიტუტები (საპატრიარქო, ეკლესია და სხვ.). იუსტიციის სამინისტროს/იუსტიციის მინისტრს სასურველ ინფორმანტად ასახელებს რესპონდენტთა არცთუ უმნიშვნელო რაოდენობა - ყოველი მესამე წარმომადგენელი ამ ჯგუფიდან. სხვა სასურველი ინფორმანტების (დამოუკიდებელი ექსპერტები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვ.) ხვედრითი წილი მცირეა **(იხ. დიაგრამა #R9):**

დიაგრამა #R9



გამოკითხვა აჩვენებს, რომ „რეზისტენტულთა“ ჯგუფის უმრავლესობას (საშუალოდ 55%-ს) არა აქვს ინფორმაციის მიღების სურვილი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ID ბარათის: ა) ტექნიკური მახასიათებლები; ბ) უსაფრთხოება; გ) შესაძლებლობები და უპირატესობები; დ) სხვა ქვეყნებში გამოყენება. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ სამიზნე ჯგუფის საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა (38-43%) აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციის მიღების მზაობას ამჟღავნებს **(იხ. დიაგრამა #R10):**

დიაგრამა #R10



R3.ID ბარათის მიმართ განწყობები და დამოკიდებულებები

ზოგადი დამოკიდებულება

ბუნებრივია, რომ „რეზისტენტულთა“ გამოკვეთილ უმრავლესობას (64%) უპირობოდ ნეგატიური დამოკიდებულება აქვს ID ბარათის მიმართ. ეს ის ნაწილია, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირს კომპრომისზე წასვლა და რაიმე დამატებითი ფაქტორის გამო საკუთარი გადაწყვეტილების შეცვლა. მეორე მხრივ, საგულისხმოა, რომ „რეზისტენტულთა“ ერთი ნაწილი ნეიტრალურ (გულგრილ) დამოკიდებულებას ამჟღავნებს ID ბარათის მიმართ, ხოლო მეორე ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება შედარებით ‘რბილია“ („უფრო უარყოფოთი, ვიდრე დადებითი“). ჯამში ასეთი განწყობების მატარებელია გამოკითხულთა დაახლოებით 35%. სავარაუდოდ, ეს ნაწილი უნდა ჩაითვალოს ყველაზე ნაკლებად ხისტად პოზიციის შეცვლის თვალსაზრისით **(იხ. დიაგრამა #R11):**

დიაგრამა #R11



ID ბარათის ობიექტური მახასიათებლების შეფასება

ID ბარათის **ობიექტურ მახასიათებლებს** შორის”რეზისტენტულთა” ჯგუფს ყველაზე ნაკლებად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ID ბარათის ზომისა და ფორმის მიმართ, ხოლო ყველაზე მიუღებელი აღმოჩნდა **ID ბარათის ელექტრონული მეხსიერება (ე.წ. ”ჩიპი”) და ელექტრონულ მეხსიერების შესაძლებლობებთან დაკავშირებული მრავალფუნქციურობა და ID ბარათის ელექტრონული ხელმოწერის არსებობა.** თუმცა, მეორე მხრივ,

”რეზისტენტულთა” უმრავლესობას არც ის მოსწონს, რომ ID ბარათი შექმნილია განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით **(იხ. დიაგრამა #R12):**

დიაგრამა #R12



შენიშვნა: საშუალო მჩვენებლები დათვლილია 5 ბალიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს უარყოფით შეფასებას, ხოლო 5 - დადებით შეფასებას. სკალის ნეიტრალური წერტილია 3. მონაცემები 3-ის ქვემოთ შეესაბამება უარყოფითი შეფასების ველს, ხოლო 3-ის ზემოთ - დადებითი შეფასების ველს.

ID ბარათის დახასიათება

„რეზისტენტულთა“ ჯგუფში არ ეთანხმებიან ელექტრონული პირადობის მოწმობის დახასიათებას პრაქტიკულად არც ერთი დადებითი ეპითეტით. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ხვდება ID ბარათის დახასიათებას ისეთი თვისებებით, როგორიცაა ეროვნულობა, სანდოობა, სიიაფე, პრესტიჟულობა და გაყალბებისგან დაცულობა. რესპონდენტთა დამოკიდებულება შედარებით „რბილდება“ ისეთ თვისებებთან დაკავშირებით, რომლებიც ელექტრონული პირადობის მოწმობას აღწერს როგორც მოსახერხებელს, პროგრესულს და ესთეტურს. თუმცა, ამ დახასიათების არგამზიარებელთა ნაწილი მაინც ყველაზე დიდია **(იხ. დიაგრამა #R13):**

დიაგრამა #R13



შენიშვნა: საშუალო მჩვენებლები დათვლილია 5 ბალიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, ხოლო 5 - „სრულიად ვეთანხმები“. სკალის ნეიტრალური წერტილია 3. მონაცემები 3-ის ქვემოთ შეესაბამება დაუთანხმებლობის ველს, ხოლო 3-ის ზემოთ - დათანხმების ველს.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, „რეზისტენტულთა“ გამოკვეთილი უმრავლესობა არ ეთანხმება ID ბარათის დახასიათებას, როგორც „იაფის“. ID ბარათის ფასთან დაკავშირებით რესპონდენტების მოსაზრებები, უფრო დეტალურად, ასეთია:

რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (38%) თვლის, რომ ID ბარათი სახელმწიფომ უფასოდ უნდა მისცეს მოქალაქეს.

გამოკითხულთა მესამედი მიიჩნევს, რომ ID ბარათი უნდა გაიაფდეს. ამ რესპონდენტებმა დაასახელეს სხვადასხვა, მათთვის მისაღები, ფასი, რომელიც მერყეობს 1-იდან 25 ლარამდე. საშუალო მაჩვენებლებლების დათვლამ აჩვენა სასურველი ფასი - MEAN = 11 ლარამდე (ყველაზე ხშირად დასახელებული ფასი, ანუ MODE = 10 ლარს) **(იხ. დიაგრამა #R14):**

დიაგრამა #R14



სასურველი ინფორმაცია, რომელიც აიტვირთება ID ბარათზე

რესპონდენტები ასახელებენ მხოლოდ ორ მონაცემს, რომელთა ასახვაც დამატებით (სახელის, გვარის, დაბადების ადგილის, თარიღის და პირადობის ნომრის გარდა) მიზანშეწონილი იქნებოდა ID ბარათზე; ესენია: **მისამართი და სისხლის ჯგუფი.** ”რეზისტენტულთა” გამოკვეთილი უმრავლესობა წინააღმდეგია ID ბარათზე აისახოს სხვა დამატებითი ინფორმაცია, როგორიცაა: თითის ანაბეჭდები, მართვის მოწმობა, მანქანის ტექნიკური პასპორტი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, დაზღვევის ბარათი, ქორწინების მოწმობა, სხვადასხვა მაღაზიის დაგროვების ბარათები, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სპეციფიკური მონაცემები, სტუდენტის ბილეთი, მეტრომანი, ბიოგრაფია/სივი, თვალის ფერი და საზღვრის გადაკვეტის შესახებ ინფორმაცია/ვიზა (ამ უკანასკნელის ასახვის მიმართ წინააღმდეგობა შედარებით ნაკლებია 51.3% წინააღმდეგია, 41.9% - მომხრე).

ID ბარათის მიმართ ექსკლუზიური დამოკიდებულებები

გამოკითხვამ აჩვენა „რეზისტენტულთა“ ჯგუფის ის დამოკიდებულებები, რაც ელექტრონულ პირადობის მოწმობას **ექსკლუზიურად** მიეწერება:

- ელექტრონული პირადობის მოწმობა მიუღებელია რელიგიური თვალსაზრისით, რადგან მასში სატანის ნიშანია დატანილი. სხვა ელექტრონულ ბარათებს ასეთი „დატვირთვა“ არა აქვს;
- ელექტრონული პირადობის მოწმობის გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები ბევრ მოქალაქეს არა აქვს. შესაბამისად, მათი დანერგვა მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებას ვერ გააიოლებს;
- ელექტრონული პირადობის მოწმობა ხელს ვერ შეუშლის არჩევნების გაყალბებას, თუ ეს ძალაუფლების მქონე ჯგუფმა მოინდომა;
- ელექტრონული პირადობის მოწმობების შემოტანა ნაკლებად მნიშვნელოვანია ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის;
- ID ბარათი დაუცველია - ის შეიძლება „გატეხონ“ და გამოიყენონ მფლობელის ელექტრონული ხელმოწერა;
- ელექტრონული პირადობის მოწმობა მისი მფლობელის ფინანსური გადარიცხვების გაკონტროლების შესაძლებლობას იძლევა, იმის მიუხედავად, ასახულია თუ არა ეს გადარიცხვები ბარათზე მისი მფლობელის სურვილით.

მეორე მხრივ, გამოკითხვამ აჩვენა ის დამოკიდებულებები, რაც ელექტრონულ პირადობის მოწმობას **ექსკლუზიურად არ** მიეწერება:

- „რეზისტენტულებს“ არ სჯერათ, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობაზე შეიძლება მოხვდეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, რომელიც სამოქალაქო რეესტრს მოქალაქის შესახებ არა აქვს;
- ელექტრონული პირადობის მოწმობა არ არის ის განსაკუთრებული ინსტრუმენტი, რომლითაც პირის ადგილმდებარეობის განსაზღვრაა შესაძლებელი (ასეთი რამ მობილურითაც შეიძლება მოხდეს).

ამრიგად, ელექტრონული პირადობის მოწმობის შესახებ **საკომუნიკაციო სტრატეგიაში** აქცენტი უნდა დაისვას შემდეგ მომენტებზე:

- ელექტრონულ პირადობის მოწმობას არაფერი აქვს საერთო სატანის („მხეცის“) ნიშანთან; მისი „ჩიპი“ არსებითად იგივეა, რაც ნებისმიერი ელექტრონული (მაგ., საბანკო) ბარათის;
- მისი გამოყენების წესები იოლია და განსაკუთრებულ უნარ-ჩევებს არ მოითხოვს;
- ელექტრონული პირადობის მოწმობით არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, თვით ავტორიტარული ხელისუფლებაც კი ვერ მოახერხებს არჩევნების გაყალბება;
- ელექტრონული პირადობის მოწმობის „გატეხვა“ ტექნიკურად შეუძლებელია;
- თუ მფლობელს არ სურს მისი ფინანსური გადარიცხვების ბარათზე ასახვა, ამ გადარიცხვების შესახებ ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია.

R4. ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ID ბარათის არაღების გადაწყეტილებას და ასეთი გადაწყვეტილების შეცვლის შესაძლებლობა

გამოკითხვა ადასტურებს, რომ ძირითადი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს „რეზისტენტულთა“ უარს ID ბარათის აღებაზე - **რელიგიურ მრწამსთან შეუთავსებლობაა**. თუმცა, აღნიშნული ფაქტორის გარდა, რესპონდენტებმა მაღალი მნიშვნელობის “ველში” მოაქციეს, აგრეთვე, შემდეგი ფაქტორებიც: ა) ID ბარათის სავალდებულოობა ლახავს ადამიანის თავისუფლებას; ბ) ID ბარათი სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა კონტროლის მექანიზმია და გ) ID ბარათზე დატანილი მონაცემების წვდომა და გამოყენება შეუძლიათ სხვა პირებს/ორგანიზაციებს. აღნიშნულ ფაქტორებთან შედარებით, ელექტრონული პირადობის მოწმობაზე უარის თქმისთვის ნაკლებად მნიშვნელოვნად ჩაითვალა მისი სიძვირე და ის, რომ ეს დოკუმენტი დიდი კორპორაციების ინტერესებს ემსახურება. თუმცა, თვით ეს ფაქტორებიც კი მნიშვნელოვნების „ველში“ მოექცა **(იხ. დიაგრამა #R15):**

დიაგრამა #R15



შენიშვნა: საშუალო მჩვენებლები დათვლილია 5 ბალიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „საერთოდ უმნიშვნელოა“, ხოლო 5 - „ძალზე მნიშვნელოვანია“. სკალის ნეიტრალური წერტილია 3. მონაცემები 3-ის ქვემოთ შეესაბამება არამნიშვნელოვნების ველს, ხოლო 3-ის ზემოთ - მნიშვნელოვნების ველს.

„რეზისტენტულთა“ ჯგუფში **მინიმუმ 10%,** ხოლო **მაქსიმუმ 67%**-ია პროცენტია ისეთი, რომელიც დადებითად პასუხობს იმის მოლოდინს, რომ შეიცვალოს აზრი და მიიღოს ელექტრონული პირადობის მოწმობის აღების გადაწყვეტილება (პოზიციები „სავსებით მოსალოდნელია“; უფრო მოსალოდნელია, ვიდრე - არა“).

როგორც გამოკითხვა აჩვენებს, აზრის (და გადაწყვეტილების) შეცვლისთვის ყველაზე ძლიერი მაპროვოცირებელი იქნება ის, თუ საპატრიარქო განაცხადებს, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობა ქრისტიანული მრწამსისთვის მისაღებია. ძლიერ მაპროვოცირებელ ფაქტორს წარმოადგენს, აგრეთვე, ახალი პირადობის მოწმობისთვის ელექტრონული მეხსიერების („ჩიპის“) მოშორება (ამ შემთხვევაშიც მთავარი რელიგიური ფონია, რადგან სწორედ „ჩიპთან“ ხდება სატანის დაკავშირება).

„რეზისტენტულთა“ ჯგუფში გადაწყვეტილების შეცვლის და ელექტრონული პირადობის მოწმობის აღების სუსტ პირობებად ჩაითვალა: ა) სახელმწიფოს მიერ ახალი პირადობის მოწმობის ალტერნატიული დოკუმენტის არდაშვება; ბ) ელექტრონული პირადობის მოწმობის უფასოდ დარიგება და გ) ელექტრონული პირადობის მოწმობის დამცავი მექანიზმების გაძლიერება **(იხ. დიაგრამა #R16):**

დიაგრამა #R16



თავი 3:. „კომპრომისულთა“ ჯგუფის გამოკითხვის შედეგები (C)

C1. ID ბარათის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება

კვლევის მოცემულ ნაწილში გაანალიზებულია მოქალაქეთა ე.წ. „კომპრომისული“ ჯგუფი, რომლებიც ამჟამად არ ფლობენ ID ბარათს, თუმცა სამომავლოდ არ გამორიცხავენ მის აღებას. საერთო შერჩევიდან მათი პროცენტული მაჩვენებელი, როგორც ითქვა, შეადგენს 66 %–ს. მოცემულ ჯგუფში შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი ქვეკატეგორიები:

- ***„ID ბარათის პოტენციური მომხმარებლები“*** – მოქალაქეები, რომლებიც ამჟამად არ ფლობენ ID ბარათს, თუმცა სამომავლოდ აპირებენ მის აღებას და არჩევანის შემთხვევაშიც (ID ბარათსა და ძველ პირადობის მოწმობას შორის) მას მიანიჭებენ უპირატესობას. (14 % კვლევის მოცემულ ნაწილში გაანალიზებულ ჯგუფში);
- ***„ID ბარათის მიმართ ლოიალურად განწყობილნი“*** – მოქალაქეები, რომლებმაც დააფიქსირეს, რომ ID ბარათს იმ შემთხვევაში აიღებენ, როდესაც ამის საჭიროება შეიქმნება. თუმცა ძველ პირადობის მოწმობასა და ID ბარათს შორის არჩევანის გაკეთების საშუალების შემთხვევაში ამ უკანასკნელს (ID ბარათს) მიანიჭებენ უპირატესობას. (33 % კვლევის მოცემულ ნაწილში გაანალიზებულ ჯგუფში);
- ***„ID ბარათის მიმართ სკეპტიკურად განწყობილნი“*** – მოქალაქეები, რომლებმაც დააფიქსირეს რომ ID ბარათს მხოლოდ იმ შემთხვევაში აიღებენ, თუ სხვა გზა არ ექნებათ. ამას გარდა, თუ არჩევანის საშუალება მიეცემათ ძველ პირადობის მოწმობასა და ID ბარათს შორის, ისინი ძველ პირადობის მოწმობას მიანიჭებენ უპირატესობას. (45 % კვლევის მოცემულ ნაწილში გაანალიზებულ ჯგუფში)

ამას გარდა, გამოიკვეთა მცირე ქვეჯგუფი (4.6%). აღნიშნული ჯგუფის წევრები არ ფლობენ ID ბარათს, სამომავლოდ არ გამორიცხავენ მის აღებას, თუმცა ვერ აკეთებენ არჩევანს ძველ პირადობის მოწმობასა და ID ბარათს შორის.

ზოგადი შეფასებით, კვლევის მოცემული სამიზნე ჯგუფი ორადაა გაყოფილი: არჩევანის შემთხვევაში, ნაწილი ამჯობინებს ძველ პირადობის მოწმობის, ხოლო მეორე ნაწილი - ID ბარათის აღებას.

დიაგრამა #C1



ასაკობრივ ჯგუფებში ცალსახად რომელიმე ჯგუფის კონსერვატიულობის ან ნოვატორობის შესახებ (ID ბარათებთან მიმართებაში) ვერ ვისაუბრებთ. თუმცა შედარებით კონსერვატიულ ტენდენციებს 65 წელს გადაცილებული მოქალაქეთა ჯგუფი ავლენდა. მიუხედავად ამისა, სხვა ასაკობრივ ჯგუფებში ძველი პირადობის მოწმობის არჩევის მსურველთა რიცხვი არცთუ მცირეა - საშუალოდ 40%. იმ ფაქტორის გავლენით, რომ ID ბარათის აღებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა რელიგიურად მოტივირებულია (ხოლო აღნიშნულ რელიგიურ ფაქტორს საფუძვლად მართლმადიდებლური მოძღვრება უდევს) მართლმადიდებლებსა და სხვა დანარჩენი სარწმუნოების წარმომადგენელთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა - არამართლმადიდებელთა დიდი უმრავლესობა ID ბარათს ანიჭებს უპირატესობას არჩევანის შემთხვევაში. მართლმადიდებლებს შორის აზრი ორადაა გაყოფილი: ID ბარათის აღების მსურველთა მაჩვენებელი 6%-ით აღემატება ბარათის აღების მოწინააღმდეგეთა მაჩვენებელს.

ID ბარათის მიმართ მოცემული ჯგუფის წარმომადგენელთა ზოგადი შეფასება უფრო მეტად ნეიტრალურია. თუმცა პოზიტიური შეფასებები საგრძნობლად აღემატება ნეგატიურს. განსხვავება გამოვლინდა რელიგიურ ჯგუფებს შორის: მართლმადიდებლებს შორის ყველაზე მეტად ნეიტრალური განწყობა ჭარბობს, სხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის კი - პოზიტიური.

დიაგრამა #C2



C2. ID ბარათის სხვადასხვა მახასიათებლების და თვისებების მიმართ დამოკიდებულება.

რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ ID ბარათების მიმართ საკუთარი დამოკიდებულება სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით:

- ✓ *ID ბარათის ზომა და ფორმა*
- ✓ *ID ბარათის ელექტრონული მეხსიერების ბარათი (ე.წ. „ჩიპი“)*
- ✓ *ID ბარათის მრავალფუნქციურობა (შესაძლებლობა, რომ მასზე მიებას მართვის მოწმობა, მეტრომანი, დაგროვების ბარათები, ფასდაკლების ბარათები, დამატებითი დოკუმენტაცია)*
- ✓ *ID ბარათის ელექტრონული ხელმოწერა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტ სივრცეში ოპერაციების განხორციელება*
- ✓ *ID ბარათი შექმნილია განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით (შესაბამისია საერთაშორისო სტანდარტებთან)*
- ✓ *ID ბარათი დაცულია გაყალბებისგან*

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჩამოთვლილი მახასიათებელი შეფასების დადებით ველში მოექცა, მოცემული ჯგუფის ყველა ქვეკატეგორიის რეპონდენტებმა ყველაზე მეტი

„კეთილგანწყობა“ გამოავლინეს ბარათის ზომისა და ფორმის მიმართ. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე პრობლემატური მათთვის ელექტრონული მეხსიერების, ე.წ „ჩიპის“ საკითხი აღმოჩნდა – ყველაზე ნაკლებად დასახელდა დადებით კონტექსტში. ამას გარდა, „ჩიპი“–ს მიმართ ყველაზე რადიკალური განწყობები გამოვლინდა – ერთის მხრივ უკიდეურესად დადებითი (ე.ი. „ჩიპის“ თემას არ ანიჭებენ მნიშვნელობას და მითად მიაჩნიათ), მეორეს მხრივ – უკიდურესად უარყოფითი (რელიგიურად მოტივირებული). დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ბარათის მრავალფუნქციურობაზეც.

ცხრილი #C1

ID ბარათის მახასიათებლის მიმართ დამოკიდებულება	Mean	Std. Deviation
ID ბარათის ზომა და ფორმა	4.12	0.893
ID ბარათის ელექტრონული მეხსიერების ბარათი (ე.წ. "ჩიპი")	3.22	1.339
ID ბარათის მრავალფუნქციურობა (შესაძლე-ბლობა, რომ მასზე მიებას მართვის მოწმობა, მეტრომანი, დაგროვების ბარათები, ფასდაკ-ლების ბარათები, დამატებითი დოკუმენტაცია)	3.89	1.134
ID ბარათის ელექტრონული ხელმოწერა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით მომსახურების მიღება	3.91	1.054
ID ბარათი შექმნილია განვითარებული ქვეყ-ნების გამოცდილების გათვალისწინებით (შესაბამისია საერთაშორისო სტანდარტებთან)	3.86	1.015
ID ბარათი დაცულია გაყალბებისგან	3.95	1.009

თუ საკითხს განვიხილავთ ზემოთ აღწერილი ქვეჯგუფების მიხედვით, ვნახავთ, რომ ძირითადად, ID ბარათის მახასიათებლების დადებითი შეფასების ტენდენცია იკლებს ბარათის მიმართ ლოიალურობის კლებასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ „ID ბარათის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი“ რესპონდენტები სხვა ქვეჯგუფებთან შედარებით ყველაზე მეტად უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩევიან ე.წ. „ჩიპის“ მიმართ, დანარჩენი მახასიათებლების მიმართ აღნიშნული ქვეჯგუფის წევრების მნიშვნელოვან ნაწილს (37–50%) დადებითი ან უფრო დადებითი დამოკიდებულება აქვთ.

თუ ID ბარათის მახასიათებლებს სხვადასხვა დემოგრაფიულ მაჩვენებლებთან მიმართებაში განვიხილავთ ვნახავთ, რომ მაგ: ე.წ. „ჩიპის“ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ზრდის ტენდენცია რესპონენტთა ასაკის ზრდის პროპორციულია. ყველაზე პრობლემატურად აღნიშნულ საკითხს მართლმადიდებლები აფასებენ. საინტერესოა, რომ საბანკო ბარათების და მობილური ტელეფონების მფლობელთა და არამფლობელთა შორის „ჩიპთან“ მიმართებაში დადებითი და უარყოფითი ტენდენციები თითქმის თანაბრადაა

გადანაწილებული. მართლმადიდებლები სხვა კონფესიების წარმომადგენლებთან შედარებით უფრო ნაკლებად თვლიან, რომ ID ბარათი დაცულია გაყალბებისგან.

რესპონდენტებს ასევე უნდა შეეფასებინათ ID ბარათის თვისებები (რამდენად ეთანხმებიან ამა თუ იმ თვისებებს):

- ✓ *სანდოა*
- ✓ *გაყალბებისაგან დაცულია*
- ✓ *მოსახერხებელია*
- ✓ *მრავალფუნქციურია*
- ✓ *იაფია*
- ✓ *პრესტიჟულია*
- ✓ *ესთეტურია*
- ✓ *ეროვნულია*
- ✓ *პროგრესულია*

მიუხედავად იმისა, რომ ID ბარათის ყველა მახასიათებელი, „იაფი ფასის“ გარდა, მოექცა შეფასების პოზიტიურ ველში, რესპონდენტებმა ყველაზე მეტად ბარათის მოსახერხებლობასა და მრავალფუნქციურობას გაუსვეს ხაზი, ყველაზე ნაკლებად კი სიიაფესა და ეროვნულობას (ამ ორ თვისებასთან მიმართებაში რესპონდენტთა უკიდურესი დამოკიდებულებები გამოვლინდა (სრულიად ვეთანხმები, სრულიად არ ვეთანხმები)).

ცხრილი #C2

რამდენად ეთანხმებით ID ბარათის დახასიათებას?	**Mean**
სანდოა	3.71
გაყალბებისგან დაცულია	3.77
მოსახერხებელია	4.21
მრავალფუნქციურია	4.22
იაფია	2.33
პრესტიჟულია	3.57
ესთეტურია	3.67
ეროვნულია	2.71
პროგრესულია	3.97

სხვადასხვა ქვეჯგუფების მიხედვით, „ID ბარათის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი“ მოქალაქეები ყველაზე ნაკლებად ეთანხმებოდნენ მის სანდოობასა და გაყალბებისგან დაცულობას.

დემოგრაფიული მახასიათებლების ანალიზმა დაადასტურა თვისებრივი კვლევის შედეგი – მართლმადიდებლები სხვა კონფსიებთან შედარებით ID ბარათს შედარებით ნაკლებად სანდოდ მიიჩნევენ. სანდოობის გარდა მართლმადიდებლებს სხვა კონფესიებთან შედარებით ID ბარათი ნაკლებად პრესტიჟულად, ესთეტურად და ეროვნულად

წარმოუდგენიათ. ბარათის პრესტიჟულობას, ეროვნულობას და პროგრესულობას ყველაზე მეტად ახალგაზრდა თაობა (16-24 წწ) და უსვამს ხაზს, ყველაზე ნაკლებად კი - 65 წელს გადაცილებულები.

დამოკიდებულება ID ბარათის ფასის მიმართ: მოცემული ჯგუფის რესპონდენტთა უმრავლესობამ საკუთარი მოსაზრებები ID ბარათის ფასთან დაკავშირებით ორი მიმართულებით გამოხატა: 1) ID ბარათის ფასი მაღალია; 2)ID ბარათი სახელმწიფომ უფასოდ უნდა მისცეს მოქალაქეებს. ID ბარათის სასურველი ფასი, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, 5-15 ლარია.

დიაგრამა #C3



C3. განწყობები ID ბარათის მიმართ

რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ დებულებები, რომელთა წყვილად დაჯგუფებაა შესაძლებელი, თუმცა არ წარმოადგენენ ერთმანეთის ალტერნატივას. შეფასება ხდებოდა 5–ბალიან სკალაზე. ანალიზი განხორციელდა რეგრესიის საშუალებით.

როგორც აღმოჩნდა, მაგ: რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ პირის ადგილსამყოფელის გარკვევა ერთნაირად შესაძლებელია როგორც ID ბარათის, ისე მობილური ტელეფონის საშუალებით. არჩევნების გაყალბება და სახელმწიფოს მიერ მოქალაქეების კონტროლი შესაძლებელია ID ბარათის გამოყენებით და მისი გამოყენების გარეშეც.

დიაგრამა #C4



დიაგრამა #C5



დიაგრამა #C6



რაც შეეხება ე.წ. „სატანის ნიშანს“, ამ შემთხვევაში, რესპონდენტთა მოსაზრებები მყარია: თუ რესპონდენტი უკიდურესადაა რელიგიურად მოტივირებული, მისთვის მიუღებელია ელექტრონული ბარათი.

დიაგრამა #C7



უნდა დაუშვას თუ არა სახელმწიფომ ალტერნატივის სახით პირადობის მოწმობების გაცემა მათთვის, ვისაც არ აქვს სურვილი აიღოს ID ბარათი?

მოცემული ჯგუფის რესპონდენტთა უმრვლესობა (65%) მიიჩნევს, რომ ID ბარათის ალტერნატივა უნდა არსებობდეს. თვით „ID ბარათის პოტენციური მომხმარებლების“ ნახევარზე ოდნავ ნაკლები (41%) და „ID ბარათის მიმართ ლოიალურად განწყობილ“ რესპონდენტთა ნახევარი იზიარებს ამავე აზრს. როგორც მოსალოდნელი იყო „ID ბარათის მიმართ სკეპტიკურად“ განწყობილთა მხოლოდ ძალზე უმნიშვნელო ნაწილი აღიარებს ID ბარათის სავალდებულო სახით არსებობის აუცილებლობას, დიდი უმრავლესობა კი ალტერნატივის არსებობის მომხრეა.

დაახლეობით მსგავსი ტენდენცია გამოვლინდა რეგრესიული ანალიზისას, არსებობს რესპონდენტთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც იმისდა მიუხედავად, რომ ID ბარათის სავალდებულო ხასიათს აღიარებს, თვლის, რომ ალტერნატივაც უნდა არსებობდეს.

დიაგრამა #C8



დიაგრამა #C9



C4. მოსაზრებები ID ბარათზე დატანილ ინფორმაციასთან დაკავშირებით/ინფორმაცია, რომელიც სასურველია განთავსდეს ID ბარათზე

როგორც ცნობილია, ID ბარათთან მიმართებაში, მოქალაქეთა შორის არსებობს ძირითადად ორგვარი ტიპის შიში: რელიგიურად მოტივირებული (მეორედ მოსვლა - „მხეცის ნიშანი“) და ID ბარათის „გასაიდუმლოებული ფუნქციების“ შიში (მათ შორის არარელიგიურ პირებთან). მოცემულ კვლევაში ID ბარათზე დატანილი ინფორმაციის შესახებ შეკითხვის ანალიზისას, აღმოჩნდა რომ **ამჟამად მოქმედ** ID ბართებთან მიმართებაში ე.წ. „მხეცის ნიშანის“ არსებობა ნაკლებად აქტუალურია. მოქალაქეთა ნაწილს მიუთითებს მათი ნებართვის გარეშე ID ბარათზე გარკვეული ინფორმაციის დატანის შესახებ.

დიაგრამა #C10



დემოგრაფიულ მახასიათებლებთან მიმართებაში გამოვლინდა, რომ ახალგაზრდები უფრო მეტად მგრძნობიარენი არიან ID ბარათთან დაკავშირებული ძირითადი „საფრთხეების“ მიმართ: კერძოდ, მოქალაქის სურვილის გაუთვალისწინებლად ID ბარათზე მის შესახებ ინფორმაციის დატანას მიუთითებდა ახალგაზრდა თაობა (16-24 წწ) უფრო მეტად, ვიდრე 65 წელს გადაცილებულები. ქვეჯგუფების მიხედვით მოქალაქის სურვილის გაუთვალისწინებლად ID ბარათზე მის შესახებ ინფორმაციის დატანის და ე.წ „მხეცის ნიშანის“ მაჩვენებელი იზრდება ID ბარათის მიმართ ლოიალობის კლების პროპორციულად.

რესპონდენტებს ჩამოთვლილი ინფორმაციიდან/მონაცემებიდან უნდა ამოერჩიათ თუ რომელს ისურვებდნენ რომ დატანილი ყოფილიყო ID ბარათზე:

- ✓ *მისამართი*
- ✓ *თითის ანაბეჭდები*
- ✓ *მართვის მოწმობა*
- ✓ *მანქანის ტექნიკური პასპორტი*
- ✓ *განათლების დამადასტურებელი მოწმობა (დიპლომი, ატესტატი, სხვ.)*
- ✓ *დაზღვევის ბარათი*
- ✓ *ქორწინების მოწმობა*
- ✓ *დაბადების მოწმობა (თქვენი, თქვენი შვილების)*
- ✓ *სხვადასხვა მაღაზიის დაგროვების ბარათები*
- ✓ *სისხლის ჯუფი*
- ✓ *ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სპეციფიკური მონაცემები (მაგ., ალერგიულობა)*
- ✓ *სტუდენტის ბილეთი*
- ✓ *მეტრომანი*
- ✓ *ბიოგრაფია/სივი*
  თვალის ფერი
- ✓ *საზღვრის გადაკვეთის შესახებ ინფორმაცია/ვიზა*

ზოგადი შეფასებით, მოცემული ჯგუფის რესპონდენტებისათვის (ნახევარზე მეტისთვის) ყველა ჩამოთვლილი ინფორმაცია/მონაცემი მისაღებია ID ბარათზე განთავსების თვალსაზრისით, გამონაკლისს მხოლოდ თვალის ფერი და მაღაზიის დაგროვების ბარათების წარმოადგენს (რომლის ID ბარათზე დატანა ნახევარზე ნაკლებ რესპონდენტთა რაოდენობას სურს).

დიაგრამა #C11



რაც შეეხება მოცემული შერჩევის ქვეჯგუფებს, სამივე ქვეჯგუფისთვის დაახლოებით ერთნაირად მისაღებია ყველაზე „უწყინარი/ნეიტრალური“ ინფორმაციის დატანა - მისამართისა და მართვის მოწმობის. დანარჩენი ინფორმაცია სამ ქვეჯგუფს შორის მისაღებია „ID ბარათის პოტენციური მომხმარებლებისა“ და „ლოიალურად განწყობილ რესპონდენტთა“ უფრო დიდი ნაწილისათვის, „სკეპტიკურად განწყობილ“ რესპონდენტებთან შედარებით (თუმცა ამ უკანასკნელთა შორის ID ბარათზე სხვადასხვა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის დატანის მსურველები ნახევარზე მეტია. გამონაკლისს მხოლოდ თვალის, ფერი, დაგროვების ბარათები და ბიოგრაფია/სივი წარმოადგენს).

გარდა ამისა, გამოიკვეთა საინტერესო ტენდენცია - რაც მეტია განათლების ცენზი, მით ნაკლები სურვილი აქვს რესპონდენტს ID ბარათზე ასახოს სხვადასხვა ინფორმაცია.

C5. ID ბარათის შესახებ ინფორმრებულობის დონე/ინფორმაციის წყარო/ინფორმაციის მიმართ დამოკიდებულება

მოცემული ჯგუფის რესპონდენტთა მიერ ID ბარათების შესახებ საკუთარი ინფორმირებულობის დონის თვითშეფასება დაბალია (ფლობენ მეტ–ნაკლებად სტულყოფილ ან მწირ ინფორმაციას). ასაკობრივ ჯგუფებს შორის როგორც მოსალოდნელი იყო ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული აღმოჩნდა 65 წელს გადაცილებული რესპონდენტები. განათლების ცენზის მიხედვით კი - ოდნავ მეტად ინფორმირებულნი არიან უმაღლესი განათლების მქონენი.

დიაგრამა #C12



ID ბარათის შესახებ ინფორმაცია რესპონდენტთა უმრავლესობამ ძირითადად ტელევიზიისა და ნაცნობ-მეგობრების საშუალებით მიიღო, თუმცა წამყვენი როლი ტელევიზიას უჭირავს, რომლის გავლენა რესპონდენტის ასაკის ზრდასთან ერთად იმატებს. ნაცნობ-მეგობრების როლი ინფორმირების თვალსაზრისით კი 16-34 წლის ახალგაზრდებთან უფრო დიდია. რესპონდენტებმა ასევე მიუთითეს, რომ მიღებული ინფორმაცია ძირითადად პოზიტიური ან ნეიტრალური ხასიათის იყო.

დიაგრამა #C13



<u>ID ბარათის შესახებ რომელი საინფორმაციო წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია იყო უფრო პოზიტიური?</u> ინფორმაციის პოზიტიურობის შეფასება განხორციელდა 5-ბალიან სკალაზე. ჩამოთვლილი საინფორმაციო წყაროებიდან ყველა მოექცა შეფასების პოზიტიურ ველში, თუმცა რესპონდენტებმა მიუთითეს, რომ ID ბარათების შესახებ ინფორმაცია ყველაზე მეტად პოზიტიური მათთვის იუსტიციის სახლი/იუსტიციის სამინისროსგან მიღებული ინფორმაცია იყო. დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით, იუსტიციის სამინისტროსგან/იუსტიციის სახლისგან მიღებული ინფორმაცია ყველაზე მეტად 16-24 წლის ახალგაზრდებისთვის აღმოჩნდა პოზიტიური, ხოლო ნეგატიური - 55-64 წლის რესპონდენტებისათვის. ეკლესიისგან მიღებული ინფორმაცია მართლმადიდებლების თითქმის ნახევრისთვის აღმოჩნა პოზიტიური, ისლამის მიმდევრებისთვის - ცალსახად ნეგატიური, ხოლო სხვა ქრისტიანული რელიგიებისთვის - უფრო პოზიტიური.

ცხრილი #C3

მიღებული ინფორმაცია პოზიტიური იყო თუ ნეგატიური?	Mean
ტელევიზია	3.57
რადიო	3.36
ჟურნალ-გაზეთები	3.53
იუსტიციის სახლი/იუსტიციის სამინისტრო	4.04
ეკლესია	3.17
ნაცნობ-მეგობრები	3.54
ინტერნეტი	3.53
საინფორმაციო ბუკლეტი	3.56

„ID ბარათის პოტენციურ მომხმარებლებსა“ და „ID ბარათისადმი ლოიალურად განწყობილ“ პირთა შორის ყველაზე მაღალი სანდოობა ID ბარათზე ინფომაციის მიწოდების თვალსაზრსით იუსტიციის სამინისტროს/იუსტიციის სახლთან მიმართებაში გამოვლინდა, ხოლო „ID ბარათის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი“ რესპონდენტები უფრო სანდოდ რელიგიურ ინსტიტუტებს მიიჩნევენ (თუმცა მნიშვნელოვანი როლი აქვს იუსტიციის სამინისტროს/იუსტიციის სახლს). ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება იუსტიციის სამინისტროს/იუსტიციის სახლის ნდობის მაჩვენებელი, რელიგიური ინსტიტუტების სანდოობის მაჩვენებელი კი იკლებს (თუმცა ყველაზე მეტად იუსტიციის სამინისტროს ენდობიან). მართლმადიდებლებთან ყველაზე მაღალია ასევე იუსტიციის სამინისტროს სანდოობა, თუმცა რელიგიური ინსტიტუტების სანდოობის მაღალი მაჩვენებლით განსხვავდებიან სხვა კონფესიებისაგან.

დიაგრამა #C14



რესპონდენტების ნაწილს (12–16%) არ სურს მიიღოს *ინფორმაცია ID ბარათის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ (მეხსიერების ზომა, ელექტრონული მახასიათებლები), ინფორმაცია ID ბარათების უსაფრთხოების შესახებ, ინფორმაცია ID ბარათების შესაძლებლობების შესახებ (რა უპირატესობები აქვს ID ბარათს), ინფორმაცია ID ბარათების სხვა ქვეყნებში გამოყენების შესახებ.* ინფორმაციის არმიღების სურვილი შედარებით იმ რესპონდენტებს აქვთ, ვინც აღნიშნავდნენ, რომ აიდი ბარათის შესახებ მწირ ინფორმაციას ფლობენ. ყველაზე ნაკლებ ინტერესს ამ მხრივ 65 წელს გადაცილებული რესპონდენტები იჩენენ. ქვეჯგუფების მიხედვით, ID ბარათის შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღების შედარებით ნაკლებ სურვილს ამჟღავნებენ „ID ბარათის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი“ რესპონდენტები.

C6. განწყობები იუსტიციის სამინისტროს მიერ ID ბარათის შესახებ მომზადებული ინფორმაციის მიმართ/სანდოობა/ ID ბარათის აღების პერსპექტივა

რესპონდენტებს მიეცათ 10 დებულება, რომელიც შეიცავდა იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ ინფორმაციას ID ბარათის შესახებ. მათ უნდა აღენიშნათ ჰქონდათ თუ არა ამა თუ იმ დებულების შესახებ ინფორმაცია, რამდენად ენდობიან მიღებულ ან უკვე ნაცნობ ინფორმაციას. ამას გარდა, რესპონდენტები მიუთითებდნენ ინფორმაციის მიღების შემდეგ აიღებენ თუ არა ID ბარათს.

მონაცემების ანალიზი განხორციელდა რეგრესიის საშუალებით. ანალიზმა აჩვენა, რომ რესპონდენტებისათვის ინფორმირებულობის ზრდა სანდოობას ზრდის. მოცემული ჯგუფის რესპონდენტები შეიძლება განვიხილოთ პოტენციურ ID ბარათის მომხმარებლებად, მეტი ინფორმაციის მიწოდების პარალელურად.

დიაგრამა #C15



დიაგრამა #C16



თავი 4:. „მფლობელთა“ ჯგუფის გამოკითხვის შედეგები (H)

ID ბარათის აღების ძირითადი მიზეზები**; ID ბარათსა** და პირადობის დამადასტურებელ ძველ მოწმობას შორის პრეფერენციები

ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელთა უმრავლესობისთვის, მისი აღების ძირითადი მიზეზი, პირადობის ძველი მოწმობის დაკარგვა, დაზიანება ან მოქმედების ვადის ამოწურვაა. ასევე, სხვა ფაქტორებთან შედარებით, პირადობის ძველი მოწმობის გამოცვლის მიზეზად რესპონდენტთა მეტი რაოდენობის მიერ თურქეთის საზღვრის გადაკვეთისათვის ელექტრონული პირადობის მოწმობის აუცილებლობა სახელდება. იხ. დიაგრამა **H1** (ელექტრონული პიადობის მოწმობის აღების მიზეზები)

დიაგრამა # H1



იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობა მისი დამატებითი შესაძლებლობებით დაინტრესების გამო აიღეს, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით მაღალია 55-64 და 35-44 წლის ასაკობრივი კატეგორიის ადამიანებს შორის. იხ. ცხრილი **H1**. (ელექტრონული პირადობის მოწმობის დამატებითი შესაძლებლობებით დაინტერესების მიმართება ასაკობრივ კატეგორიებთან)

ცხრილი H1.

ელექტრონულ პირადობის მოწმობას აქვს დამატებითი შესაძლებლობები და დავინტერესდი

16-24 წლის	25-34 წლის	35-44 წლის	45-54 წლის	55-64 წლის	65 და < წლის
4.1%	-	11.2%	5.9%	15.4%	-

ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელთა უმრავლესობა (54.3%) შესაძლებელი რომ ყოფილიყო პირადობის ძველი მოწმობის დატოვება ან მსგავსი საბუთის ხელახლა აღება, ისევ ელექტრონულ პირადობის მოწმობას აიღებდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ მაღალია იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ელექტრონულ პირადობის მოწმობას ფლობენ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ისევ პირადობის დამადასტურებელ ძველ დოკუმენტს აიღებდნენ (39.4%). იხ. დიაგრამა **H2**. (პირადობის მოწმობასა და ID ბარათს შორის პრეფერენციები)

დიაგრამა # H2



ელექტრონულ პირადობის მოწმობასა და პირადობის დამადასტურებელ ძველ მოწმობას შორის პრეფერენციებთან არსებით კავშირშია, რესპონდენტთა ასაკი და რელიგიურ ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირე. ახალგაზრდებს შორის პრეფერენციები დიფერენცირებულია. ე.წ. "ადრეული მოზრდილობის" ხანაში მყოფი, **16**-იდან **24** წლის ჩათვლით ასაკობრივი კატეგორიის ადამიანები, უპირატესობას ელექტრონულ პირადობის

მოწმობას ანიჭებენ, ხოლო 25-იდან 34 წლის ჩათვლით ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები კი - პირადობის დამადასტურებელ ძველ მოწმობას. ადამიანთა უმრავლესობა, რომელთა ასაკი 35 წელი ან მეტია, შესაძლებლობის შემთხვევაში ისევ ელექტრონულ პირადობის მოწმობას აირჩევდა.

იკვეთება, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ კონსერვატორულად არიან განწყობილი 25-34 წლის ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები, მათი უმრავლესობა შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, პირადობის დამადასტურებელ ძველ მოწმობას აიღებდა. ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ მკვეთრად ლოიალურად განწყობილები არიან, 55-64 ასაკობრივი კატეგორიის ადამიანები, მათ შორის 69.1% აცხადებს, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში ისევ ელექტრონულ პირადობის მოწმობას აიღებდა. იხ. ცხრილი **H2** (ასაკობრივ კატეგორიებსა და პირადობის დამადასტურებელ ძველ მოწმობასა და ელექტრონულ პირადობის მოწმობას შორის პრეფერენციათა ურთიერთმიმართება)

ცხრილი H2

შესაძლებელი რომ ყოფილიყო ძველი პირადობის მოწმობის დატოვება ან მსგავსი საბუთის ხელახლა აღება, რომელს აიღებდით პირადობის ძველ მოწმობას თუ ელექტრონულ პირადობის მოწმობას

პასუხის შესაძლო ვარიანტები:	16-24 წლის	25-34 წლის	35-44 წლის	45-54 წლის	55-64 წლის	65 და > წლის
ავიღებდი (დავიტოვებდი) პირადობის მოწმობას	43.1%	52.8%	37.3%	39.2%	22.5%	35.7%
ავიღებდი ელექტრონულ პირადობის მოწმობას	52.3%	40.9%	54.4%	57.0%	69.1%	57.2%
მიჭირს პასუხის გაცემა	4.6%	6.3%	8.3%	3.7%	8.4%	7.2%

ეკლესიური ადამიანების[4] უმრავლესობა აცხადებს, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელ ძველ მოწმობას აიღებდა. ხოლო, არაეკლესიური ადამიანების[5] გამოკვეთილი უმრავლესობა (64.7%) ამბობს, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში ისევ ელექტრონულ პირადობის მოწმობას აიღებდა. იხ. ცხრილი **H3** (ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირესა და პირადობის დამადასტურებელ ძველ მოწმობასა და ელექტრონულ პირადობის მოწმობას შორის პრეფერენციათა ურთიერთმიმართება)

4 ადამიანები, რომლებიც კვირაში რამდენჯერმე, კვირაში ერთხელ ან თვეში რამდენჯერმე მაინც ესწრებიან რელიგიურ მსახურებას

5 ადამიანები, რომლებიც უფრო იშვიათად, ვიდრე თვეში რამდენჯერმე ან არასდროს ესწრებიან რელიგიურ მსახურებას

ცხრილი H3.

შესაძლებელი რომ ყოფილიყო ძველი პირადობის მოწმობის დატოვება ან მსგავსი საბუთის ხელახლა აღება, რომელს აიღებდით პირადობის ძველ მოწმობას თუ ელექტრონულ პირადობის მოწმობას

პასუხის შესაძლო ვარიანტები	ეკლესიური	არაეკლესიური
ავიღებდი (დავიტოვებდი) პირადობის მოწმობას	51.9%	27.8%
ავიღებდი ელექტრონულ პირადობის მოწმობას	43.0%	64.7%
მიჭირს პასუხის გაცემა	5.0%	7.5%

ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ დამოკიდებულება

ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელთა უმრავლესობა დადებითად არის განწყობილი პირადობის ახალი მოწმობის მიმართ. თუმცა, მფლობელთა ჯგუფში მაღალია ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ ნეიტრალურად განწყობილთა ხვედრითი წილი (29.6%). იხ. დიაგრამა H3: ID ბარათის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება.

დიაგრამა # H3



პირადობის ახალი მოწმობის მფლობელთა გამოკვეთილი უმრავლესობა (61%), მიიჩნევს, რომ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემის ერთადერთი ფორმა ელექტრონული

პირადობის მოწმობა არ უნდა იყოს, სახელმწიფომ ალტერნატივა უნდა დაუშვას. იხ. დიაგრამა **H4** (დამოკიდებულებები ID ბარათის ალტერნატივასთან დაკავშირებით).

დიაგრამა # H 4



კიდევ ერთხელ იკვეთება, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ტენდენცია არსებობს ახალგაზრდებს შორის. (16-24 და 25-34 წლის ასაკობრივი კატეგორიები) შუახნის ასაკის ადამიანთა უმრავლესობა დადებითად არის განწყობილი ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ. პირადობის ახალი მოწმობის მიმართ პოზიტიური განწყობის ტენდენცია არსებობს ხანდაზმულთა შორისაც, მათი 50%-ია დადებითად განწყობილი ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ. იხ. **ცხრილი H4.** (ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ ზოგადი დამოკიდებულების ასაკობრივ კატეგორიებთან მიმართება).

ცხრილი H4.

თუ ზოგადად შევაფასებთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ

პასუხის შესაძლო ვარიანტები:	16-24 წლის	25-34 წლის	35-44 წლის	45-54 წლის	55-64 წლის	64 და < წლის
უარყოფითი/ უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი	17.2%	15.9%	14.8%	9.3%	8.4%	12.5%
არც დადებითი, არც უარყოფითი	34.5%	49.4%	23.1%	25.2%	18.3%	23.2%
დადებითი/უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი	46.8%	34.7%	60.4%	62.6%	73.3%	50.0%
მიჭირს პასუხის გაცემა	1.5%		1.8%	2.8%		14.3%

იკვეთება, რომ გარდა ასაკისა ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ ზოგადი დამოკიდებულების ერთერთი დეტერმინანტი რესპონდენტების ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირეა. იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ინტენსიურად (თვეში რამდენჯერმე მაინც) ესწრებიან რელიგიურ მსახურებას მეტია ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ უარყოფითად განწყობილთა ხვედრითი წილი, ვიდრე მათ შორის, რომლებიც უფრო იშივათად ვიდრე თვეში რამდენჯერმე ან არასდროს არ ესწრებიან რელიგიურ მსახურებას. ეკლესიურ ადამიანებს შორის 23.1%-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ. ხოლო არაეკლესიურებს შორის 4.6%-ს აქვს უარყოფითი დამოკიდებულება. იხ. ცხრილი **H5** (ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ ზოგადი დამოკიდებულების რელიგიურ მსახურებაზე დასწრების ინტენსივობასთან მიმართება)

ცხრილი H5.

თუ ზოგადად შეავფასებთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ

პასუხის შესაძლო ვარიანტები:	ეკლესიური	არაეკლესიური
უარყოფითი/ უფრო უარყოფითი,ვიდრე დადებითი	23.1%	4.6%
არც დადებითი, არც უარყოფითი	28.9%	30.2%
დადებითი/ უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი	43.6%	62.6%
მიჭირს პასუხის გაცემა	4.5%	2.6%

ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ ადამიანთა დამოკიდებულებებს საქმიანობის სექტორის მიხედვით თუ განვიხილავთ, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შორის საქმიანობის სხვა სექტორებთან შედარებით ყველაზე ნაკლებია მის მიმართ უარყოფითად განწყობილთა ხვედრითი წილი და 5%-ს შეადგენს. თუმცა, დადებითად განწყობილთა ხვედრითი წილი ყველაზე მაღალი თვითდასაქმებულებს შორისაა (73.4%) ასევე, იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომლებიც საბანკო ბარათებს ფლობს დადებითად/უფრო დადებითად არის განწყობილი ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ, ვიდრე უარყოფითად/უფრო უარყოფითად.

H1. ელექტრონული პირადობის მოწმობის ობიექტური მახასიათებლების შეფასება

რესპონდენტებს სთხოვდნენ ხუთ ბალიან სკალაზე შეეფასებინათ ელექტრონული პირადობის მოწმობის ობიექტური მახასიათებლების მიმართ მათი დამოკიდებულება, სადაც 5 ნიშნავდა დადებით დამოკიდებულებას, ხოლო 1 კი -უარყოფითს. ელექტრონული პირადობის მოწმობის ყველა ობიექტური მახასიათებელი, გარდა ელქტრონული მეხსიერების ბარათისა (ე.წ. „ჩიპი“) ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელთა

უმრავლესობის მიერ დადებითად ფასდება. იხ. დიაგრამა H5 (ID ბარათის ობიექტური მახასიათებლების შეფასება).

დიაგრამა # H5



იკვეთება, რომ პირადობის ახალი მოწმობის ელექტრონული მეხსიერების ბარათით აღჭურვა პოზიტიური მნიშვნელოვნების მქონე არ არის, რასაც ადასტურებს ცენტრალური ტენდენციის[6] ერთერთი მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობის განაწილება. ელექტრონული პირადობის მოწმობის ობიექტურ მახასიათებლებს შორის ელექტრონული მეხსიერების ბარათი (ე.წ. „ჩიპი“) ერთადერთია, რომელიც ნეიტრალური შეფასების ველში ექცევა. იხ. ცხრილი H6. (ელექტრონული პირადობის მოწმობის ობიექტური მახასიათებლების შეფასების საშუალო მნიშვნელობები)

6 ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლების მეშვეობით შესაძლებელია განვსაზღვროთ განაწილების ცენტრი, რომლის ირგვლივაც კონცენტრირდება ცვლადის ემპირიული მნიშვნელობები.

ცხრილი H6

ელექტრონული პირადობის მოწმობის ობიექტური მახასიათებლები	საშუალო მნიშვნელობა	სტანდარტული გადახრა[7]
ელექტრონული პირადობის მოწმობის ზომა და ფორმა	4.41	0.863
ელექტრონული პირადობის მოწმობის ელექტრონული მეხსიერების ბარათი (ე.წ. „ჩიპი“)	3.30	1.409
ელექტრონული პირადობის მოწმობის მრავალფუნქციურობა (შესაძლებლობა, რომ მასზე მიებას მართვის მოწმობა,მეტრომანი, დაგროვების ბარათები, ფასდაკლების ბარათები, დამატებითი დოკუმენტაცია)	3.98	1.280
ელექტრონული პირადობის მოწმობის ელექტრონული ხელმოწერა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით მომსახურების მიღება	4.04	1.207
ელექტრონული პირადობის მოწმობა შექმნილია განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით (შესაბამისია საერთაშორისო სტანდარტების)	4.03	1.085

ასევ ჩანს, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის ობიექტურ მახასიათებლებს შორის ნეგატიური შეფასების ველში არც ერთი არ ექცევა. ყველა ობიექტური მახასიათებელი, გარდა ელექტრონული მეხსიერების ბარათის (ე.წ. „ჩიპის“) პოზიტიური შეფასების ველშია მოთავსებული.

ელექტრონული პირადობის მოწმობის სხვადასხვა მახასიათებლების მიმართ დამოკიდებულება

რესპონდენტებს სთხოვდნენ 5 ბალიან სკალაზე, სადაც 5 ნიშნავდა სრულიად ვეთანხმები, ხოლო 1 კი- სრულიად არ ვეთანხმები, შეეფასებინათ ელექტრონული პირადობის მოწმობის სხვადასხვა მახასიათებლები. დებულებებს, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობა სანდო, გაყალბებისგან დაცული, მოსახერხებელი, პრესტიჟული, ესთეტური და პროგრესულია რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა ეთანხმება.

თუ ელექტრონული პირადობის მოწმობის სხვადასხვა მახასიათებლის მიმართ მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულებების საშუალო მნიშვნელობებს შევადარებთ, ჩანს რომ ყველა მახასიათებელი გარდა ფასისა და ეროვნულობისა რესპონდენტთა თანხმობის ველშია მოთავსებული. **იხ. ცრილი H7** (ელექტრონული პირადობის მოწმობაის სხვადასხვა მახასიათებლისადმი დამოკიდებულების საშუალო მნიშვნელობები)

7 საშუალო სტანდარტული გადახრა ცვლადის საშუალო მნიშვნელობის მიმართ ემპირიული მნიშვნელობის ვარიაციის (გაფანტვის, განსხვავების, გაფანტვის, ცვლილების ხარისხის) საშუალო მაჩვენებელია.

ცხრილი H7.

ელექტრონული პირადობის მოწმობის შეფასებითი მახასიათებლები	საშუალო მნიშვნელობა	სტანდარტული გადახრა
სანდოა	3.90	1.181
გაყალბებისგან დაცულია	4.08	1.038
მოსახერხებელია	4.41	0.838
მრავალფუნქციურია	4.34	0.975
იაფია	2.59	1.420
პრესტიჟულია	3.63	1.371
ესთეტურია	3.92	1.191
ეროვნულია	2.77	1.505
პროგრესულია	4.01	1.141

უმრავლესობა არ ეთანხმება მოსაზრებას რომ ელექტრონული პირადობის მოწმობა იაფია. შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობა უნდა გაიაფდეს ან ელექტრონული პირადობის მოწმობა სახელმწიფომ უფასოდ უნდა მისცეს მოქალაქეებს. ელექტრონული პირადობის მოწმობის ოპტიმალურ საშუალო ფასად რესპოდენტების მიერ 13 ლარი სახელდება. იხ. დიაგრამა H6 (ID ბარათის ფასისადმი დამოკიდებულება და შესაძლო ოპტიმალური ღირებულება).

დიაგრამა # H6



H2. ელექტრონული პირადობის მოწმობის შესახებ არსებული სხვადასხვა მოსაზრებებისადმი დამოკიდებულება

რესპონდენტებს შეფასებისთვის ეძლეოდათ ელექტრონული პირადობის მოწმობის შესახებ ალტერნატიული, თუმცა არა ურთიერთგამომრიცხავი დებულებები, რომელთა მიზანი იყო ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების გამოვლენა. მათ ხუთბალიან სკალაზე უნდა შეეფასებინათ რამდენად ეთანხმებოდნენ ამა თუ იმ დებულებას, სადაც 5 ნიშნავდა - სრულიად ვეთანხმები, ხოლო 1 კი- სრულიად არ ვეთანხმები.

ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელთა გამოკვეთილი უმრავლესობა აცხადებს, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის გამოყენებისთვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები ბევრ მოქალაქეს არ აქვს. თუმცა, ასევე გამოკვეთილი უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ ბარათების დანერგვა მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებას გაადვილებს. გამომდინარე აქედან, შესაძლოა ითქვას, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელთა მოსაზრებით ბარათის გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევების არ ცოდნა ბარათის მოსახერხებლობისათვის მნიშვნელოვან ბარიერს არ წარმოადგენს.

პირადობის ახალი მოწმობის მფლობელთა დომინანტური პოზიციაა, რომ ელექტრონულ პირადობის მოწმობაზე ფინანსური გადარიცხვები მფლობელის ინფორმირებული თანხმობის გარეშე არ აისახება (44%). თუმცა, იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც ეთანხმებიან, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის საშუალებით შესაძლებელია სხვათა მიერ მფლობელის ფინანსური გადარიცხვების კონტროლი უახლოვდება მათ ხვედრით წილს, რომლებიც ამ დებულებას უარყოფენ და 32%-ს აღწევს.

ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელებს, ახალი ბარათები არჩევნების გაყალბების თავიდან აცილების ერთერთ პრევენციული მექანიზმად ესახებათ. თუმცა, ზოგადად სოციალური ინსტიტუციებისადმი უნდობლობიდან გამომდინარე, უმრავლესობა აღნიშნავს, რომ თუ ძალაუფლების მქონე ჯგუფი მოინდომებს არჩევნების გაყალბებას, ეს ყოველთვის (მათ შორის ელექტრონული პირადობის მოწმობითაც) შესაძლებელია.

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის ესა თუ ის მახასიათებელი პოზიტიურად ფასდება, მაგრამ სოციალური ინსტიტუციებისადმი მოსახლეობაში არსებული უნდობლობის გამო, დაცულობისა და კომფორტის გარანტად არ აღიქმება. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ შემდეგი დებულებების: "ბარათის გაყალბება შეუძლებელია, რაც თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას იცავს," და „ბარათის ქონის შემთხვევაში მცირდება მოქალაქეების უსაფრთხოება, რადგან არაკანონიერი გზით შესაძლებელია პირის ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება„ შეფასებისას მაღალია პასუხის ვარიანტის, „მიჭირს პასუხის გაცემა" ხვედრითი წილი (22-24%).

არგუმენტი, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის დანერგვა საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესს შეუწყობს ხელს, ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელთა მიერ გაბათილებულია. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის ელექტრონული პირადობის მოწმობების შემოტანა ნაკლებად მნიშვნელოვანია.

უმრავლესობას მიაჩნია, რომ ახალი ბარათების მეშვეობით სახელმწიფოს მოქალაქეების კონტროლი უადვილდება. თუმცა იმ ადამიანთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც თვლიან რომ, თუ სახელმწიფოს მოქალქეების კონტროლი უნდა, ამას ელექტრონული პირადობის მოწმობის გარეშეც ადვილად განახორციელებს 75.7%-ია და აღემატება მათ პროცენტულ მაჩვენებელს, ვისაც ახალი ბარათები სახელმწიფოს მხრიდან მოქალქეების კონტროლის ხელშემწყობ მექანიზმად მიაჩნია (61.0%)

ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელები იზიარებენ აზრს, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის შემოღება სახელმწიფოს გადაწყვეტილებაა და ეს მოქალაქეებმა უნდა გაითვალისწინონ. თუმცა, გამოკვეთილი უმრავლესობა აცხადებს რომ, სახელმწიფო მოქალაქეების ინტერესების გამომხატველი უნდა იყოს და გაითვალისწინოს მათი მოსაზრებები. ეს ორი ტენდენცია, მიგვანიშნებს, რომ მოქალაქეებს სახელმწიფოს პოზიციის „ხისტი მიუღებლობა“ არ აქვთ. სახელმწიფოს მხრიდან დიალოგის, გადაწყვეტილებათა მიღებამდე მათი მოქალქეებისათვის გაცნობისა და ქვემოდან წამოსული ინიციატივების გათვალისწინების შემთხვევაში, ამა თუ იმ პოლიტიკის გატარება, მათ შორის ელექტრონული პირადობის მოწმობის დანერგვა მოქალაქეთა მხრიდან მიუღებლობის თავიდან არიდების გარანტს იძლევა. იხ. დიაგრამა **H7** (ID ბარათების შესახებ არსებული სხვადასხვა მოსაზრებებისადმი დამოკიდებულება)

დიაგრამა # **H7**



ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელთა უმრავლესობა თანახმაა, მასზე აისახოს ინფორმაცია პიროვნების მისამართის, თითის ანაბეჭდების, მართვის მოწმობის, მანქანის ტექნიკური პასპორტის, განათლების დამადასტურებელი მოწმობის, დაზღვევის ბარათის, ქორწინების მოწმობის, დაბადების მოწმობის, სისხლის ჯგუფის, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხების (მაგ: ალერგიულობა),სტუდენტის ბილეთის, მეტრომანის და საზღვრის გადაკვეთის შესახებ. რესპონდენტების უმრავლესობას, ელექტრონულ პირადობის მოწმობაზე სხვადასხვა მაღაზიის დაგროვების ბარათების მონაცემების ასახვა არ სურს. ასევე, ბიოგრაფიის/cv-ისა და თვალის ფერის ელექტრონული პირადობის დამადასტურებელ მოწმობაზე ასახვის მოსურნეთა და მოწინააღმდეგეთა ხვედრითი წილები, ერთმანეთს უახლოვდება.

H3. ელექტრონული პირადობის მოწმობის შესახებ ინფორმირებულობის დონე და საინფორმაციო წყაროებისადმი დამოკიდებულება

ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელთა უმრავლესობა სწორადაა ინფორმირებული პირადობის ახალი მოწმობების შესახებ, აცხადებს, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობა პიროვნების შესახებ პირადობის ძველ მოწმობაზე უკვე არსებულ ინფორმაციასა და მისამართს ინახავს. ***იხ. დიაგრამა H8*** (ელექტრონულ პირადობის მოწმობაზე ასახაული მონაცემების შესახებ ადამიანთა ინფორმირებულობა)

დიაგრამა H8:



თუმცა, მიუხედავად ამისა, იკვეთება, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელები საკმარისად ინფორმირებულნი არ არიან მისი მახასიათებლების შესახებ. უმრავლესობას მიაჩნია, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის მეშვეობით შესაძლებელია პირის ადგილმდებარეობის დადგენა. რესპონდენტთა არაინფორმირებულობასა და ბარათების წინააღმდეგ ე.წ. „რელიგიური არგუმენტის“ გავლენის მნიშვნელოვნებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელთა 22.8% ეთანხმება დებულებას, რომ ის რელიგიური თვალსაზრისით მიუღებელია, რადგან მასში სატანის ნიშანია დატანილი. ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელებს შორისაც არიან ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობაზე მოქალაქის შესახებ ის ინფორმაციაც მოხვდება, რომელთა გამჟღავნებაც მოქალაქეს არ სურს და მათი პროცენტული მაჩვენებელი 37.5%-ს შეადგენს. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოსახლეობაში ერთგვარი ბუნდოვანება და უნდობლობა არსებობს ელექტრონული პირადობის მოწმობის მიმართ.

ელექტრონული პირადობის მოწმობის სხვა მახასიათებლებთან შედარებით, ნაკლებად არიან ინფორმირებული შემდეგი საკითხების შესახებ:

- ელექტრონული პირადობის მოწმობის შემოღებით შეუძლებელი ხდება საარჩევნო მაქინაციების განხორციელება

- გაყალბებული მოწმობით შეუძლებელი ხდება ფინანსური თაღლითობის განხორციელება
- ელექტრონული პირადობის მოწმობა დამზადებულია პლასტიკური ბარათის მსგავსი მასალისგან, ინფორმაცია დატანილია გრაფიკულად და ელექტრონულად, არ აქვს საკუთარი დენის წყარო, ე.წ. „ჩიპს“ აქვს შეზღუდული მეხსიერება (80კბ.), რომელიც პიროვნების შესახებ მხოლოდ საბაზისო ინფორმაციას იტევს
- ელექტრონული პირადობის მოწმობის მეშვეობით, მხოლოდ მფლობელის სურვილის შემთხვევაში, ინტერნეტით შესაძლებელია მომსახურების მიღება.

იხ. დიაგრამა **H9** (ელექტრონული პირადობის მოწმობის სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ ინფორმირებულობის დონე)

დიაგრამა H9



იკვეთება, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის ამა თუ იმ მახასაითებლის შესახებ ინფორმირებულობის დონე, კავშირში არ არის ამ მახასიათებლისადმი ნდობასთან. პირადობის ახალი მოწმობის მფლობელთა უმრავლესობა, სრულადა არ არის ინფორმირებული ელექტრონული მოწმობის სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ, მიუხედავად ამისა, მათ გამოკვეთილ უმრავლესობას ეჭვი არ შეაქვს ამა თუ მახასიათებლის

ნამდვილობაში. იხ. დიაგრამა 10 (ელექტრონული პირადობის მოწმობის სხვადასხვა მახასიათებლებისადმი დნობა)

დიაგრამა H10



ელექტრონული პირადობის მოწმობის სხვა მახასიათებლებთან შედარებით სკეტპიკურად არიან განწყობილი, შემდეგი დებულების მიმართ: “ ელექტრონული პირადობის მოწმობის შემოღებით შეუძლებელი ხდება საარჩევნო მაქინაციების განხორციელება და ასევე, ელექტრონული პირადობის მოწმობის შემოღებით შეუძლებელია ფინანსური თაღლითობა გაყალბებული მოწმობით განხორციელდეს.

საინფორმაციო წყაროებისადმი დამოკიდებულება

ელექტრონული პირადობის მოწმობის შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროებად ტელევიზია, ნაცნობ-მეგობრები და იუსტიციის სახლი/იუსტიციის სამინისტრო სახელდება. ძირითადად, ინფორმაცია ტელევიზიის მეშვეობით აქვთ მიღებული. იხ დიაგრამა **H11** (ID ბარათის შესახებ მიღებული ინფორმაციის წყაროების განაწილება):

დიაგრამა H11



ჩანს, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობის შესახებ მიღებული ინფორმაცია საკმარისად ამომწურავი არ არის, ვინაიდან "მფლობელების" გამოკვეთილ უმრავლესობას სურს ყველა შემდეგი საკითხის შესახებ ინფორმაციის მიღება:

- ბარათის ტექნიკური მახასიათებლების (მეხსიერების მოცულობა, ელექტრონული მახასიათებლები).
- ელექტრონული პირადობის მოწმობის უსაფრთხოების, ელექტრონული პირადობის მოწმობის შესაძლებლობებისა და ბარათების სხვა ქვეყნებში გამოყენების პრაქტიკების. იხ. დიაგრამა **H12** (ელექტრონული პირადობის მოწმობის სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მიღების სურვილი)

დიაგრამა H12



ელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელთა მიერ, მის შესახებ ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, ყველაზე სანდო ინსტიტუციად იუსტიციის სამინისტრო/ მინისტრი სახელდება. ინფორმაციის მიღებისთვის სანდო ინსტიტუტად, სამინისტროს/მინისტრის გარდა, სხვა ინსტიტუციებთან შედარებით სანდოდ რელიგიური ინსტიტუციები (საპატრიაქო, ეკლესია და სხვ.) მიიჩნევა. იხ. დიაგრამა **H13** (ელექტრონული პირადობის მოწმობის შესახებ ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით სანდო ინსტიტუციების განაწილება):

დიაგრამა H13